აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 101-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№16 (24.896) ხუთშაბათი, 24 - 25 თებერვალი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 8-13, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

კრიალოსა N იუსი

თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის იუნკერების თავგანწირვა ჩვენს მეხსიერებაში დარჩა, მათი გმირობის მაგალითი ჩვენი თაობებისთვის სახელმძღვანელოა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში, 1921 წლის თებერვალში კოჯორტაბახმელასთან დაღუპულ იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურმა, პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, პარლამენტის ეზოში გვირგვინით შეამკო იუნკერთა მემორიალი და პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

* * *

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ნიკოლოზ სამხარაძის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით ჩეხეთის რესპუბლიკაში იმყოფება. „ჩეხი კოლეგები დაინტერესდნენ ჩვენი ხედვით შავი ზღვის რეგიონში მოვლენების შესაძლო განვითარების შესახებ, განსაკუთრებით, რუსეთის მხრიდან დონბასში შეჭრის შემდეგ. აგრეთვე, ჩეხეთის მხარემ მოგვაწოდა ინფორმაცია, რას გეგმავს ევროკავშირი და ნატო რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად“, - განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

* * *

სენაკის საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ წევრი ირაკლი კაჭარავა აირჩიეს. მას მხარი „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაუჭირა. კენჭისყრაში მონაწილეობდა საკრებულოს 17 წევრი. პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ „ქართული ოცნების“ წევრებს. სენაკის საკრებულოში 33 დეპუტატია, აქედან 16 წევრი ჰყავს „ქართულ ოცნებას“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 13, ხოლო პარტიას „საქართველოსთვის“ - 4.

* * *

რატომ არ ვითხოვთ ზუსტად იგივე სანქციების დაწესებას აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მიმართ, როგორც ახლა დონეცკისა და ლუგანსკის მიმართ დააწესეს?! 2008 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ მოამზადა ასეთი სანქციების პაკეტი, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, მათი ხელმოწერა გადაიფიქრა, - ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიმართვაშია ნათქვამი, რომელიც მის „ფეისბუქის“ პირად გვერდზე გავრცელდა. „თუ იგივე სანქციები დაწესდება, ვეღარავინ ააშენებს სასტუმროებს აფხაზეთში, არ მოიწვევს სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლებს და „მოქალაქეებს“. მათ მოგზაურობა მხოლოდ რუსეთში შეეძლებათ და ეს საბოლოოდ ძალიან გაამყარებს საქართველოს შანსებს რეგიონების მშვიდობიან რეინტეგრაციაზე“, - აღნიშნულია მიმართვაში.

მოამზადა
ირმა შერვაშიძემ

პროექტების რაოდენობა და დაფინანსება გაიზარდა

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს და მეწარმეებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე და მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე.

შეკრებილებს 2022 წელს დაგეგმილი პროგრამები და მათი სპეციფიკა სოფლის მეურნეობის მინისტრმა გააცნო და სამომავლო კოორდინირებული თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრა. როგორც გიორგი სურმანიძემ აღნიშნა, სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი 1 154 476 ლარით გაიზარდა და 20 055 441 ლარით განისაზღვრა. 2021 წელთან შედარებით, იზრდება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 1 415 783 ლარია. დაფინანსდება 270 პროექტზე მეტი.

ფრიდონ ფუტკარაძის განცხადებით, შარშანდელთან შედარებით, გაორმაგებულია სოფლად მეწარმეობის განვითარების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა, რაც არანაკლებ 24 პროექტის 3 197 640 ლარით დაფინანსებას გულისხმობს.

ეს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს როგორც თავად მეწარმეებს, ისე მუნიციპალიტეტსა და რეგიონს.

ანკა ჩხიკვაძე

მაია ხაჯიშვილმა სკოლები მოინახულა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ბათუმის საჯარო სკოლებში არსებულ ვითარებას გაეცნო

მინისტრმა, რესურსცენტრის უფროს გოჩა დავითაძესთან ერთად, ქალაქ ბათუმის N7 და N9 საჯარო სკოლები მოინახულა.

სკოლებში სტუმრობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა გამოცხადებისა და უსაფრთხო გარემოში სწავლისთვის საჭირო პირობების შექმნის საკითხს.

სკოლებში მოსწავლეთა გამოცხადების მაჩვენებელი გაზრდილია და შემცირებულია კოვიდდადებითობის შემთხვევები.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამით მიმდინარეობს ბათუმის N9 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. პირველ ეტაპზე განხორციელდა ახალი სახურავისა და მზის ელექტროპანელების მოწყობა.

მიმდინარე წელს განხორციელდება ფასადის სრული რეაბილიტაცია. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მოეწყობა ლიფტი. დაგეგმილია სკოლის ინტერიერისა და ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია.

«თუკი პუტინი დააპირებს «ამოძრავებას» საქართველოს მიმართულებით, მას აქ დასაყრდენი ძალები დასჭირდება»

4

მათე ფუტკარეძე არჩევნებში ჩაება

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკოორდინაციო საბჭომ შეზღუდვები შეამსუბუქა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მოქმედი რეგულაციების შემსუბუქების გადაწყვეტილება მიიღო

სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, აღინიშნა, რომ ქვეყანამ „ომიკრონის“ შტამის გავრცელების პიკი გადაიარა, რაც შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შესაძლებლობას იძლევა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით:

27 თებერვალს დაგეგმილ საქართველო-რუსეთის სარაგბო მატჩზე დაიშვება მაყურებელთა 50%;

პირველი მარტიდან, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო საზღვრით შემოდის უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქე/რეზიდენტი, რომელიც - არის სრულად ვაქცინირებული; ხოლო ვაქცინაციის არქონის შემთხვევაში - წარადგენს 72-საათიანი ვალიდურობის მქონე PCR-ტესტს (მესამე დღეს PCR ტესტირების ვალდებულების გარეშე); იხსნება ქვეყნების ე.წ. ჩამკეტი;

ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების PCR-ტესტით შემოსვლის შემთხვევაში, იხსნება მესამე დღეს PCR-ტესტირების ვალდებულება, ხოლო PCR ტესტის არქონის შემთხვევაში, არსებული 8-დღიანი თვითიზოლაცია შემცირდება 5 დღემდე;

რეგულაციების შემსუბუქების გათვალისწინებით, უქმდება ბიზნესვიზიტიორების, „იმუშავე საქართველოდან“ და სტუდენტური აპლიკაციები.

კვების ობიექტებში ღია სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 15 ადამიანი (არსებული 10-ის ნაცვლად);

დახურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 10 ადამიანი (არსებული 6-ის ნაცვლად);

უქმდება სტუმართა მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვა;

სოციალური ღონისძიებების (წვეულება, დაბადების დღე, ქორწილი, ქელეხი) გამართვა დასაშვები იქნება იმავე პირობით - დახურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან - 10 ადამიანის, ხოლო ღია სივრცეში - ერთ მაგიდასთან 15 ადამიანის განთავსება.

პირველი მარტიდან უქმდება საკარანტინე სივრცეები, ე.წ კოვიდსასტუმროები, დღეიდან აღნიშნულ სივრცეებში ინფიცირებულთა შეყვანა შეჩერდება;

უქმდება თერმოსკრინინგისა და ჟურნალის წარმოების ვალდებულება;

უქმდება დეზობარიერის ქონის ვალდებულება.

უქმდება ბუფეტის მომსახურებაზე შეზღუდვა;

4 მარტიდან დასაშვებია კლუბების ფუნქციონირება - ღონისძიების საერთო ფართის 60%-იანი დატვირთვით.

15 მარტიდან დასაშვებია კონფერენციების, სემინარების და ტრენინგების ჩატარება შეზღუდვების გარეშე;

საკოორდინაციო საბჭოს სხდომები ყოველკვირეული სიხშირის ნაცვლად, ორ კვირაში ერთხელ გაიმართება.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს ვითარების შესაბამისად მიიღებს. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ტყვიის კვლევის პროგრამა გაფართოვდა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

წელს აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრას, გაფართოვდა. 2022 წლიდან პროგრამით 8-14 წლამდე მოზარდები ისარგებლებენ

აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძე და აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი რუსუდან შავიშვილი, პროგრამის ფარგლებში, ირის ბორჩაშვილის სახელობის სამედიცინო ცენტრ „მედინაში“ მეან-გინეკოლოგებს შეხვდნენ და ორსულთა კონსულტირებისა და ანალიზის აღების პროცესს ადგილზე გაეცნენ. ასევე, ბავშვების კონსულტირებას და ანალიზის აღების პროცესს გაეცნენ საოჯახო მედიცინის ცენტრშიც.

„მიმდინარე წელს კვლევა ჩაუტარდება საპროგნოზოდ 4500 ორსულსა და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალ ბენეფიციარებს, კვლევის შედეგების მიხედვით ჩაუტარდებათ განმეორებითი კვლევები. ამასთან ერთად, კვლევა ჩაუტარდება პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებულ 8-14 წლამდე ასაკის საპროგნოზოდ 3800 ბავშვს. პარალელურად, ჩვენ ვიკვლევთ მიზეზებსაც. „უნისეფთან“ ერთად დაავადების კონტროლის ცენტრმა დაიწყო წყლის და გარემოში არსებული სხვა გამომწვევი მიზეზების კვლევა, რაც იწვევს ტყვიის შემცველობის გაზრდას ორგანიზმში“, - აღნიშნა შეხვედრაზე მარი ზანაქიძემ.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის რუსუდან შავიშვილის ინფორმაციით, „პროგრამა რეგიონში 2020 წლიდან ხორციელდება. გასულ წელს 6000-მდე ორსულის კვლევა ჩატარდა და საკმაოდ სერიოზული მაჩვენებლებია. კერძოდ, 300-ზე მეტი ორსულის სისხლში აღმოჩნდა ტყვიის მაღალი შემცველობა. პროგრამით მოსარგებლეები არიან აჭარის სამედიცინო დაწესებულებებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული 2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ ანტენატალური კომპონენტით მოსარგებლე ორსულები და ლაქტაციის პერიოდში მყოფი ქალები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წელს პროგრამა გაფართოვდა და პროგრამით 8-14 წლამდე მოზარდები უკვე სარგებლობენ“.

„პირველი კვლევა 12 კვირის ფეხმძიმობის პერიოდში გავიკეთე. მაჩვენებელი იყო 4 და არანაირი მედიკამენტი არ დამჭირვებია, განმეორებით დღეს ჩავიტარე კვლევა და ანალიზის პასუხის შემდეგ ველოდები თუ რა რჩევას მომცემს ექიმი“, - ამბობს 38 კვირის ფეხმძიმე სედიკო კახაძე.

ქალებს კვლევები ჩაუტარდებათ იმ დაწესებულებაში, სადაც ღებულობენ ანტენატალურ მომსახურებას. აუცილებელია ისინი რეგისტრირებულნი იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო ბავშვების კვლევის საჭიროებას განსაზღვრავს ოჯახის ექიმი.

ესპანელი ფრირაიდერები – გოდერძიზე

სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტურისტული შესაძლებლობებით პროფესიონალი მოთხილამურე ბლოგერები დაინტერესდნენ. ფრირაიდის ესპანელმა მოთხილამურეებმა, რომლებიც რეგიონს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოწვევით სტუმრობდნენ, კურორტის ექსტრემალური და სპორტული სათხილამურო ტრასები გამოსცადეს. ფრირაიდი, იგივე თავისუფალი სრიალი, სათხილამურო დისციპლინაა, რომელიც კონკრეტული დანიშნულებისა და წესების გარეშე, ბუნებრივ, უსწორმასწორო ფერდობებზე ტარდება. როგორც ფრირაიდერებმა აღნიშნეს, კურორტი გოდერძი ერთ-ერთი საუკეთესოა ექსტრემალური, პროფესიონალური სტილით სრიალისთვის. იქ შესაძლებელია როგორც ძირითად ბილიკზე, ისე გაუკვალავ ადგილებში სრიალი, რაც ძალიან პოპულარულია დღეს მსოფლიოში. მათ თავიანთი შთაბეჭდილებები ასიათასობით გამომწერს გაუზიარეს, რომელთა შორის უმრავლესობა პროფესიონალი მოთხილამურე და ფრირაიდერია.

ბლოგერებმა უკვე გამოაქვეყნეს სტატია პოპულარულ სპორტულ გამოცემაში Nevasport, რომელსაც 12 მილიონამდე მომხმარებელი ჰყავს. გარდა სტატიებისა, ისინი პროფესიონალ მოთხილამურეებსა და მათ გამომწერებს კურორტზე გადაღებულ ფოტოებსა და ვიდეორგოლს გაუზიარებენ.

„რომ შევაჯამოთ, ეს იყო შესანიშნავი მოგზაურობა ქვეყანაში, რომელიც დამალულ მარგალიტს ჰგავს. შემდეგ წელს ჩვენ აქ აუცილებლად დავბრუნდებით, რათა უკეთ გავიცნოთ ეს ქვეყანა და ვისიამოვნოთ იმ ყველაფრით, რასაც აქ გვთავაზობენ: ბევრი თოვლი, უგემრიელესი საჭმელი, საყვარელი ხალხი, სასწაული ხედები, სათავგადასავლო სათხილამურო ტრასები და მომაჯადოებელი კულტურა“, - წერენ ბლოგერები.

ანკა ჩხიკვაძე

ქალების როლი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

«შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს» შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადახალისდა. საბჭოს შემადგენლობაში არიან შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, ვიცე-მერი მირიან აბაშიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი დავითაძე. საბჭოს თავმჯდომარედ ფატი ჭაღალიძეა არჩეული.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამუშაო გეგმა დაამტკიცეს, რომლის მიზანი მუნიციპალიტეტში ეფექტიანი მუშაობის წარმართვაა. გაიმართა სხვადასხვა აქტივობა. მეტ დატვირთვას შეიძენს ინოვაციური პროგრამა «სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება». ეს პროგრამა ქვეყნის მასშტაბით პირველად შუახევში ამოქმედდა და მისი არეალი და ბიუჯეტი ფართოვდება და იზრდება.

«შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო» მიზანმიმართულად მუშაობს. საკრებულოს წევრებად ორი ქალია არჩეული, 10-მდე საჯარო სკოლის დირექტორი და მოვალეობის შემსრულებელია. თვითმმართველობის ორგანოებში ქალები საპასუხისმგებლო თანამდებობებზეც მუშაობენ. ქალია მერის მოადგილე, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებიდან 3 ქალბატონია. ჩვენი მიზანია, სოფლებში მოვინახულოთ ის ობიექტები, სადაც ქალები საქმიანობენ, შევხვდეთ სოფლად მცხოვრებ ფერმერ ქალებს. ასეთი აქტივობები მათ როლსაც და პასუხისმგებლობას გაზრდის. განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებრივ საქმიანობაში ახალგაზრდა და მრავალშვილიანი დედების ჩართულობას დაეთმობა», - გვითხრა «აჭარის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა ფატი ხალვაშმა.

ნატა მეხეშიძე პირველია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბაკურიანმა ამ დღეებში სპორტის ზამთრის სახეობების საკლუბო პირველობებს უმასპინძლა ორ ასაკობრივ ჯგუფში. 2005-2006 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის წარმატებით იასპარეზა სპორტული კლუბ «ქედელების» აღსაზრდელმა, მეცხრე კლასის მოსწავლე ნატა მეხეშიძემ. მან სლალომში პირველი ადგილი დაიკავა.

მეხეშიძეების გვარის წარმომადგენლები სათხილამურო სპორტში ადრეც წარმატებით გამოდიოდნენ, მაგრამ ნატას მსგავსი შედეგისთვის გოგონათა შორის არავის მიუღწევია. ნატა საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორიცაა. 8 წლის იყო, როცა თხილამურებზე დადგა. მის ასაკობრივ ჯგუფში წელს გოგონათა შორის «გომარდულის თასიც» დაისაკუთრა.

ნატა სპორტს წარჩინებულ სწავლასაც უთავსებს. მომავალ სპეციალობად ისტორიკოსობა აქვს არჩეული. ასევე, სურს ქვეყნის ან რეგიონის სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტობა.

- პირველი ქალი ვიქნები, ვინც ფედერაციას ჩაუდგება სათავეში. ჩემი მიზანია, მეტი გოგონა მოვიზიდოთ სპორტის ზამთრის სახეობებში, რათა მომავალ ოლიმპიადებზე საქართველოს ჰიმნიც აუღერდეს, - გვითხრა ნატამ.

საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს

ანანო ტაბიძე 27 48 93

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა: „რუსეთის პარლამენტი მხარს უჭერს დონეცკის და ლუგანსკის დამოუკიდებლობას. დონბასი ისტორიულად რუსეთის ნაწილია“.

მისივე თქმით, აღმოსავლეთ უკრაინა ყოფილი რუსეთის ტერიტორიაა, რომელიც ისტორიულად რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და რომლის დათმობაც მოუწიათ

- წარსულის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ სიმართლის თქმა აუცილებელია. თანამედროვე უკრაინა რუსეთმა დააარსა. უკრაინას უცხო ძალები მართავენ, დასავლელები იღებენ კრიტიკულ გადაწყვეტილებებს, ხალხი იძარცვება. უკრაინა ჩვენთვის არა მხოლოდ მეზობელია, არამედ რუსეთის ისტორიის ნაწილია. დონბასში აგრესია უნდა დასრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უკრაინას ეკისრება. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებისთვის დასავლელ კოლეგებთან, მაგრამ ჩვენი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ამ განცხადებების გაკეთებასთან ერთად, დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებად აღიარების გაკარგულებასაც მოაწერა ხელი და პარლამენტს გადაუგზავნა.

ხუთი მუხლისგან შემდგარ განკარგულებაში ნათქვამია, რომ ვლადიმირ პუტინმა დაავალა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ე.წ დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში მშვიდობის შესანარჩუნებლად შესაბამისი მოქმედებები განახორციელონ. გარდა ამისა, მან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა დონეცკისა და ლუგანსკის მხარეებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ შეთანხმებების დადება. ასევე აღინიშნა, რომ აღნიშნული განკარგულებები ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან.

ვლადიმირ პუტინი აცხადებს იმასაც, რომ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე აშშ-მა ძალდატანებით გაიტანა გადაწყვეტილება, რომ უკრაინა და სხვათა შორის, საქართველოც გახდებიან ნატოს წევრები. მისივე თქმით, ბევრი ევროპელი მოკავშირე ჯერ კიდევ მაშინ ხვდებოდა იმ რისკებს, რომელიც ამ გადაწყვეტილებას ახლდა თან, მაგრამ იძულებული იყვნენ, შეგუებოდნენ დიდი მოკავშირის სურვილს.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, უკრაინაში ბირთვული იარაღის შექმნასაც აპირებენ.

- ეს უბრალო საუბრები არ გახლავთ. უკრაინა ფლობს საბჭოთა სამხედრო ტექნოლოგიებს. მათ შორის, უკრაინა ფლობს ავიაციას და რაკეტა „ტოჩკა უ“-ს, რომლის მოქმედების რადიუსი 100 კილომეტრს აღემატება. ისინი მეტსაც შეძლებენ, ეს მხოლოდ დროის საკითხია, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. ის ამბობს იმასაც, რომ უკრაინას ბირთვული იარაღის შექმნაში შესაძლოა, დასავლეთი დაეხმაროს, რათა რუსეთისთვის მორიგი მუქარა შექმნას. მისივე თქმით, აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები უკრაინას მილიარდობით დოლარის ღირებულების იარაღს აწვდიან.

მისივე განცხადებით, ბოლო წლებში უკრაინაში სწავლებების საბაბით, პრაქტიკულად, მუდმივად იმყოფებოდნენ ნატოს წევრი ქვეყნების სამხედროები.

ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკიც გამოეხმაურა.

- ევროპამ და მსოფლიომ არ უნდა დაუშვას ისეთი ტრაგიკული მოვლენების განმეორება, რომლებიც უკვე მოხდა 2008 წელს საქართველოში. რუსეთის მიერ დონეცკის და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების აღიარების გადაწყვეტილება არის მოსკოვის ახალი აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ და გადამწყვეტ რეაგირებას საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. ამ გადაწყვეტილებით რუსეთმა იურიდიული საფუძველი შექმნა უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის გასაგრძელებლად. რუსეთის ქმედება არის უპრეცედენტო საფრთხე არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ ევროპისთვის და მსოფლიოსთვისაც. დღეს უკრაინაში წყდება ევროპის უსაფრთხოების მომავალი, რომლის ნაწილიც არის უკრაინა. ევროპამ და მსოფლიომ არ უნდა დაუშვან ისეთი ტრაგიკული მოვლენების განმეორება, რომლებიც უკვე მოხდა 2008 წელს საქართველოში, - განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის განცხადებით, ვლადიმირ პუტინის მიერ დონეცკისა და ლუგანსკის „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად“ აღიარება არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. მისივე თქმით, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ რა საფრთხეს უქმნის ყველას უსაფრთხოების ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დარღვევა.

- ეს არის საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევა. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ რა საფრთხეს უქმნის ყველას უსაფრთხოების ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დარღვევა. ევროპელი ლიდერები კონსულტაციებს უწევენ პარტნიორებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი. ჩვენ, ასევე, მოუთმენლად ველით კონსულტაციებს, გავაგრძელებთ კონსულტაციებს საქართველოს ხელისუფლებასთან ორი მიმართულებით - თუ რას ნიშნავს ეს რეგიონისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის და რა არის შემდეგი ნაბიჯი ამ სიტუაციიდან გამომდინარე, - განაცხადა კარლ ჰარცელმა.

რუსეთის მიერ უკრაინის რეგიონების დონეცკისა და ლუგანსკის „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად“ აღიარებას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საქართველო უკრაინის გვერდითაა.

- საქართველო მკაცრად გმობს რუსეთის მიერ უკრაინის რეგიონების - დონეცკისა და ლუგანსკის „აღიარებას“, რაც არის იმ სცენა-

რის გამეორება, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. საქართველო თქვენ გვერდით დგას, პრეზიდენტო ზელენსკი, და მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და მშვიდობას, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის განცხადებით, დონეცკისა და ლუგანსკის აღიარება რუსეთის მიერ არის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა და საერთაშორისო პარტნიორებმა აღნიშნულზე რეაგირება უნდა მოახდინონ.

- დონეცკისა და ლუგანსკის აღიარება რუსეთის მიერ არის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა და 2008 წლის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აღიარებისა და ოკუპაციის სცენარის გამეორება. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, რეაგირება მოახდინონ ევროკავშირის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სამართლის მორიგ დარღვევაზე, - აცხადებს დავით ზალკალიანი.

განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც.

- „საქართველო შეშფოთებით ადევნებს თვალს ბოლო პერიოდში უკრაინის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, რაც უაღრესად სერიოზული გამოწვევაა ევროპული და გლობალური უსაფრთხოებისათვის. რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინის ტერიტორიების - დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მორიგ უხეშ დარღვევას, რაც ფაქტობრივად იმეორებს 2008 წელს, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში, სამხედრო ინტერვენციის, შემდგომ კი ამ რეგიონისა და აფხაზეთის/საქართველო ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების და მათი ოკუპაციის სცენარს. საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მკაცრ შეფასებას და რეაგირებას მისცემს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უხეში დარღვევის მორიგ ფაქტს და აღმოსავლეთ ევროპაში სახელმწიფოს საზღვრების ძალისმიერი შეცვლის ყოვლად მიუღებელ მცდელობას“,- ნათქვამია უწყების განცხადებაში.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გმობს ვლადიმირ პუტინის მიერ უკრაინის რეგიონების - დონეცკისა და ლუგანსკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს უკრაინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას და მიმართულია არა მხოლოდ უკრაინის სახელმწიფოებრიობის რღვევის, არამედ საერთაშორისო წესრიგის ჩამოშლისკენ, - ნათქვამია პარტიის განცხადებაში. „ნაციონალურ მოძრაობაში“ აცხადებენ, რომ აღნიშნული ქმედება არის პუტინის მილიტარისტული ექსპანსიონიზმის გაგრძელება, რისი ნაწილიც არის 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია, საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის განგრძობითი ოკუპაცია, 2014 წელს ყირიმის ანექსია, ასევე, დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების ოკუპაცია.

- რუსეთის ხელისუფლების გუშინდელი განცხადებით ნათელია, რომ ისინი ცდილობენ ისტორიის გადაწერას და ამ გადაწერილ ისტორიაზე თავისი პოლიტიკური დღის წესრიგის დაფუძნებას, რომელიც არის გვიანი შუა საუკუნეების რადაც პოლიტიკურ აზროვნებაში დარჩენილი, სამწუხაროდ, ეს რეალობაა, - აცხადებს „ქართული ოცნების“ დეპუტატი ბექა დავითულიანი. მისივე თქმით, მთელი საერთაშორისო საზოგადოება უნდა შეეცადოს, პირველ რიგში, შენარჩუნებული იყოს მშვიდობა და მეორე მხრივ, მოხდეს იმ ქვეყნების ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც არიან ამ აგრესიის მსხვერპლნი.

- სამწუხაროდ, რუსეთის ამ ქმედებით უკრაინის ეროვნული ინტერესები შეილახა და ახლა საერთაშორისო საზოგადოების რეაქციაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ქმედითი ნაბიჯები ამ სიტუაციაში რთული გადასადგმელია, რადგან ძალიან სენსიტიური ვითარებაა. პირველ რიგში, ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რომ რეგიონი დავიცვათ ფართომასშტაბიანი ომისგან და იმედი მაქვს, ეს შესაძლებელია. საქართველომ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ შენარჩუნებული იყოს მშვიდობა და შეჩერებული იქნას რუსეთის აგრესიული ნაბიჯები. ვნახოთ, საერთაშორისო საზოგადოება რა ტაქტიკას შეიმუშავებს. პირველ რიგში, პოზიცია უნდა ჩამოაყალიბოს საერთაშორისო თანამეგობრობამ, რომ საქართველოს ჰქონდეს ერთგვარი ორიენტირი, თუ საით მიდის ცივილიზებული სამყარო. საქართველოს ამის მიხედვით მოუწევს თავისი პოზიციის ფორმირება, - განაცხადა ბექა დავითულიანმა.

ქართველი ხალხი უპირობოდ უჭერს მხარს უკრაინას. საქართველოს პრეზიდენტის სასახლეზე უკრაინის სოლიდარობისა და მხარდაჭერის ნიშნად უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო დროშები გადმოიფინა. იმედია, 21-ე საუკუნეში არ იქნება ომი!

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ პუტინის ეს ნაბიჯი საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევაა. მან რუსეთის მიმართ სანქციებზეც ისაუბრა.

- რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების აღიარება არის უკრაინაში რუსეთის შეჭრის დასაწყისი. რა აძლევს პუტინს უფლებას, რომ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიები ე.წ. ქვეყნებად აღიაროს? ეს საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევაა. ჩვენ ვაწესებთ დამბლოკავ სანქციას რუსეთის ორ ფინანსურ ინსტიტუტზე - სახელმწიფო განვითარების კორპორაციაზე და სამხედრო ბანკზე. ჩვენ ვაწესებთ ყოვლისმომცველ სანქციებს რუსეთის სუვერენული ვალის წინააღმდეგ, რაც ნიშნავს, რომ გავწყვიტეთ რუსეთის მთავრობის დასავლური დაფინანსება. ის ვეღარ შეძლებს დასავლეთისგან ფულის მიღებას და ახალი ვალით ვაჭრობას ჩვენს ბაზრებზე ან ევროპულ ბაზრებზე. ხვალიდან დაწყებული, ჩვენ ვაწესებთ სანქციებს რუსეთის ელიტის და მათი ოჯახების წინააღმდეგ. ისინი იზიარებენ კრემლის პოლიტიკის კორუფციულ სარგებელს და ასევე გაიზიარებენ ტკივილსაც. რუსეთის ქმედებებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიმუშავეთ გერმანიასთან იმაში დასარწმუნებლად, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი“, როგორც დაგპირდით, არ გაგრძელდება, - განაცხადა ჯო ბაიდენმა.

იხ. მე-5 გვ.

უცხოეთი

პეკინი წინააღმდეგია ნებისმიერი ცალმხრივი შეზღუდვის და მიიჩნევს, რომ სანქციების შემოღება არ არის უთანხმოების გადაჭრის საუკეთესო საშუალება, - ამის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ხუა ჩუნინმა განაცხადა. მან ბრიფინგზე უპასუხა ჟურნალისტის შეკითხვას, რომელიც პეკინის მიერ რუსეთის ფედერაციისთვის უკრაინის საკითხზე სანქციების დაწესების შესაძლებლობას შეეხებოდა. „ჩინეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სანქციები არასოდეს ყოფილა პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალება. ჩვენ ყოველთვის ვეწინააღმდეგებით ცალმხრივი უკანონო სანქციების შემოღებას“, - განაცხადა მან.

* * *

გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა, ვიცე-კანცლერმა რობერტ ჰაბეკმა „ჩრდილოეთი ნაკადი - 2“-ის მომავალზე ისაუბრა. მისი თქმით, მთავარი არის ის, რომ გერმანიას აქვს საკმარისი გაზი. „მართალია ფედერალურ ხელისუფლებას ბუნებრივი აირის ფასის გაზრდა მოუწევს, მაგრამ ამის კომპენსირება მოხდება ცალკეული ეკოლოგიური მოსაკრებლის შემცირების ან გაუქმების ხარჯზე“, - აღნიშნა მან. ჟურნალისტის კითხვაზე, შეუძლია თუ არა გერმანიას უარი თქვას რუსულ გაზზე, ჰაბეკმა უპასუხა, რომ შეუძლია. იგი უკიდურესად ნეგატიურად გამოეხმაურა „ჩდილოეთი ნაკადი 2-ის“ პროექტს და აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ამ პროექტის საწყის ეტაპზევე გაყინვა.

* * *

თურქეთი ვერ დაიჭერს ვერც რუსეთის და ვერც უკრაინის მხარეს ქვეყნებს შორის კონფლიქტში, - განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. მისი თქმით, ანკარა უკრაინის კრიზისის გადაჭრის მომხრეა, თუმცა არ აპირებს ამ ქვეყნებიდან რომელიმესთან ურთიერთობაზე უარის თქმას. თურქეთის ლიდერი ნატოს პარტნიორებთან მოლაპარაკებების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან დიალოგს გეგმავს. იგი იმედოვნებს, რომ მოსკოვი და კიევი უახლოეს მომავალში მოლაპარაკებებს განაახლებენ. თავის მხრივ, ჩრდილოატლანტიკურმა ორგანიზაციამ კი უნდა დააფიქსიროს მკვეთრი პოზიცია უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით და მიიღოს აუცილებელი ზომები.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ რუსეთის ფედერაციაში ვიზიტისგან, მათ კი ვინც უკვე იმყოფება იქ, დაუყოვნებლივ დატოვონ ტერიტორია. „უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რამაც, მათ შორის, შესაძლებელია გამოიწვიოს ფედერაციის ტერიტორიაზე საკონსულო დახმარების არსებითი შეზღუდვა, საგარეო საქმეთა სამინისტრო რეკომენდაციით მიმართავს უკრაინის მოქალაქეებს, თავი შეიკავონ რუსეთის ფედერაციაში გამგზავრებისგან, მათ კი ვინც იმყოფება ამ ქვეყანაში, დაუყოვნებლივ დატოვონ ტერიტორია“, - ნათქვამია განცხადებაში.

მოამზადა
ირმა შერვაშიძემ

„თუკი პუტინი დააპირებს „ამოძრავებას“ საქართველოს მიმართულებით, მას აქ დასაყრდენი ძალები დასჭირდება“

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

ამდენ ხანს ომის დაძაბულ მოლოდინში მყოფი მსოფლიო ყალყზე დადგა, ორშაბათს რუსეთმა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებით აღიარა დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და მათთან მეგობრობის, თანამშრომლობის და ორმხრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. „მათგან კი, ვინც კიევი ჩაიგდო ხელში და ინარჩუნებს ძალაუფლებას, მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედებები, წინაადმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა სისხლისღვრის შესაძლო გაგრძელებაზე მთლიანად უკრაინის ტერიტორიაზე მმართველი რეჟიმის სინდისზე იქნება“, - განაცხადა პუტინმა.

ამ საკითხზე გთავაზობთ ინტერვიუს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ***გიორგი მასალკინთან (ჩაწერილია 22 თებერვალს).***

- როგორ შეაფასებთ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დასასრულის დასაწყისს?

- სიახლეა, რა თქმა უნდა, მაგრამ მოსალოდნელი სიახლე. რუსეთმა ცნო დონბასის და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკები“ და მათთან დადებულ ხელშეკრულებებში სამხედრო თანამშრომლობაც ჩაიწერება, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ერთობლივად გაკონტროლდება. რუსეთს ექნება საჯარისო ფორმირებების ოფიციალურად შეყვანის უფლება ეგრეთ წოდებულ სახალხო რესპუბლიკებში. ამის შემდეგ, ნებისმიერ გასროლაზეც კი, პროვოცირებულიც რომ იყოს, რუსეთის ჯარი გადავა საპასუხო შეტევაზე. ეს არის რუსეთის მიერ დადგმული გრანდიოზული სპექტაკლის მესამე აქტი - 2008 წელს საქართველოს და 2014 წელს - ყირიმის შემდეგ. ისტორიული მნიშვნელობის ეს ქმედებები კარდინალურად ცვლის ევროპის უსაფრთხოების მთელ სისტემას. წინ კიდევ მოლდოვაა - რუსულენოვანი მოსახლეობით დასახლებული დნეპრისპირეთი (რუსეთის ჯარი ახლაც დგას იქ). ალბათ იქაც დაიწყება სამხედრო კონფლიქტი. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპა, მთელ დანარჩენ სამყაროსთან ერთად, ურთულესი გამოწვევის წინაშეა დარჩენილი.

- კოლექტიური დასავლეთი სანქციებს უწესებს დონეცკის და ლუგანსკის ახლად გამომცხვარ რესპუბლიკებს. ეს ფაქტი ცოტა უცნაურად არ მოგეჩვენათ?

- როდესაც ეს სანქციები ვნახე, სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, „შევშფოთდი“, ალბათ ამ დღეებში დაუწესებენ რუსეთსაც, თორემ სასაცილოა, ტრაგიკული რომ არ იყოს.

- რუსეთს შეეშინდება ამ სანქციების?

- მგონი, რუსეთი ამას ელის და ამისთვის მზადაა. მართალია, მისი ცხოვრების დონე ბევრად ჩამოუვარდება ევროპულს, მაგრამ ის მაღალტექნოლოგიური პროდუქცია, რომელსაც აწარმოებს (ძრავები, თვითმფრინავები და სხვა), გაუწევს კომპენსაციას. აქვე არ დაგავიწყდეთ, რომ მას მხარში უდგას ჩინეთი, ირანი და სხვა ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერენ რუსეთის კურსს და მასზე დაკისრებულ სანქციებს ნაკლებად გაითვალისწინებენ. აქედან გამომდინარე, სანქციებთან დაკავშირებით, „ბ“ და „გ“ გეგმები, ჩრდილოურ იმპერიას უკვე შემზადებული ექნება.

- რუსული არხები გადმოსცემდნენ, როგორ ზეიმობს დონეცკი და ლუგანსკი გათავისუფლებას და რუსეთის მხრიდან აღიარებას. ამ ფაქტს როგორ განმარტავთ?

- მე ასპირანტურა დაუსწრებლად, ლუგანსკში მაქვს დამთავრებული. წელიწადში ორჯერ ჩავდიოდი სესიებზე. იქ ცხოვრების დონე, რუსეთზე გაცილებით მაღალი იყო. დონეცკშიც და ლუგანსკშიც მეშახტეების დასახლებებია, აქედან გამომდინარე, სასურსათო თუ სამრეწველო მომარაგება უხვად ჰქონდათ, თან ყველაფერი ბევრად იაფი ღირდა. ორივე ეს რეგიონი 4 მილიონი მოსახლეობით, საკმაოდ დიდ ტერიტორიებს მოიცავს, შვეიცარიაზე მეტსაც კი. უმრავლესობა იქ რუსია. ჯერ ეიფორიაში არიან, მაგრამ მალე გამოფხიზლდებიან იმ პრობლემების გამო, რომელიც დღეს აქვს აფხაზეთს. კერძოდ, არავინ სცნობს ამ რესპუბლიკებს, ამ პასპორტებით ვერსად გავლენ, სწავლას უცხოეთში ვერ შესძლებენ.

- პრინციპში, რომ არ დამორჩილებოდნენ რუსეთს, მათ მაინც ვინ რას შეეკითხებოდა. პუტინი აღარ შევიდოდა?

- მოდით, პირდაპირ ვთქვათ, დღეს მსოფლიოში ერთმანეთს ებრძვის ორი უფლება: ქვეყნის სუვერენიტეტი და თვითგამორკვევის უფლება. დღევანდელი პოლიტიკა ისეა აგებული, რომ რაც აწყობთ წამყვან სახელმწიფოებს, იმით აპელირებენ. ან სუვერენიტეტს „აწვებიან“ ან თვითგამორკვევის უფლებას. აქედან გამომდინარე, ვერ გაარკვევ, რომელია პირველხარისხოვანი და რომელია ნაკლებად აუცილებელი. ორივე გაეროს ყველა დოკუმენტშია თანაბრად გატარებული.

- რუსეთს რომელი აძლევს ხელს?

- რუსეთი აწყობს „თვითგამორკვევას“. ხომ ხედავთ, ყირიმში რაც მოხდა, ამერიკის შეერთებული შტატები კი მხარს უჭერს ქვეყნების სუვერენიტეტის დაცვას. არადა, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ თმობს თავისი მიწის ვერც ერთ გოჯს, რადგან ეს პოლიტიკური სუიციდია. მინსკის ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ კიევს უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები ლუგანსკის და დონეცკის მოსახლეობასთან, მაგრამ ყველა ხომ ვხედებით, სად მიიყვანდა უკრაინას ეს „საუბრები“.

- შეიძლება რაღაც შედეგი უფრო მიეღოთ...

- მიიღებდნენ, თუკი მისცემდნენ დამოუკიდებლობის სრულ გარანტიებს და ფართო სტატუსს. გამოდის, ლამის კონფედერაცია უნდა შეექმნათ. არც უკრაინა იყო მზად ამისთვის და არც პოლიტიკური ისტებლიშმენტი, ხოლო ასეთ სიტუაციაში ეს ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

- ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტმა უკრაინა დააიმედა, რომ ევროპულ პერსპექტივებს გაუხსნიან. არაფრისმთქმელ დაპირებად ხომ არ მოგეჩვენათ?

- მეც მგონია, რომ ეს ლიტონი სიტყვებია. მეტ-ნაკლებად ხომ ვიცით მეოცე საუკუნის ისტორია, თუკი ერთხელ მაინც დახუჭავ თვალს რომელიმე გადაცდომაზე, მას მოჰყვება მეორე, მესამე... 2008 წლის ომი საქართველოსთან როგორც კი შეირჩინა რუსეთმა, მადა გაეხსნა და მიჰყვა ნელ-ნელა საკუთარი საქმის კეთებას. რა სანქციები დაუწესეს მაშინ, რით დაუზარალეს? არაფრით! რა, ვაჭრობა აკრძალეს, მოლაპარაკებებს არ აწარმოებდნენ, მიმოსვლა და ვიზები დაუხურეს თუ რა გააკეთეს? არაფერი, გაუტარეს, შემდეგ ყირიმი აპატიეს. ევროპაში მაშინაც „აღშფოთდნენ-შეშფოთდნენ“, მაგრამ სხვა ვერაფერი იღონეს. არ ჭრის ეს მკაცრი ტონი რუსეთზე, ხომ უნდა მიხვდე. დაუსჯელობის სინდრომს რაც მოაქვს, ყველამ კარგად ვიცით. რა ხდება ახლა? ახლა თავად აღმოჩნდნენ ურთულეს ვითარებაში.

- რა უნდა გააკეთოს ევროპამ?

- სრულიად უნდა შეიცვალოს ევროპის უშიშროების სისტემა, არ ვიცი როგორ, ძნელია ამის ვარაუდი. ხომ ხედავთ, ბოლოს და ბოლოს, 4 „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ დაფიქსირდა ევროპის რუკაზე. ვგულისხმობ ოსეთს, აფხაზეთს, დონეცკს და ლუგანსკს. კი, შენ არ აღიარებ, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობს, უკვე 5 მილიონამდე მოსახლეობით. ამათაც პატარ-პატარა სხვა სახელმწიფოებიც შეემატება და... სიმართლე გითხრათ, არ მინდა ახლა დასავლელი პოლიტიკოსების ტყავში აღმოვჩნდე. განსაკუთრებით, ევროპელებს ვგულისხმობ. ამერიკის შეერთებული შტატები მაინც შორსაა და, ყველაფრის მიუხედავად, არ დაიბნევა, მაინც შეძლებს მისთვის სახეირო დივიდენდების შეძენას ამ ორომტრიალშიც კი. ევროპას ძალიან გაუჭირდება, რადგან ხელფეხშეკრულია. გასაგებია, რომ ომი არავის უნდა. ეს მილიტარისტული რიტორიკა რუსეთში ყოველთვის იყო. გაიხსენეთ, როგორ ჩაატარა პუტინმა საკუთარი უშიშროების საბჭოს სხდომა - ესთეტიკა როგორი იყო, მაგიდა და მიმართვის ტონი... შთაბეჭდილება რჩებოდა, რუსეთის წამყვან პირებს ოროსანი მოსწავლეებივით ექცეოდა.

- ევროპას და უკრაინას გამოსავალი არ დაუტოვა...

- დიახ, არც დაუტოვებდა. ერთადერთი, რაც რჩებათ, ან რეფერენდუმი ჩაატარონ დონეცკსა და ლუგანსკში, გაარკვიონ, სურს თუ არა ამ ორი რეგიონის მოსახლეობას დამოუკიდებლობა, მაგრამ ამას ვერ გაუძლებს უკრაინის ვერც ერთი პოლიტიკური სისტემა, მაშინვე ჩამოიშლება. მეორე ვარიანტია - დაიცვან გაეროს წევრის საზღვრები, რაც ნიშნავს, რომ ავტომატურად შედიხარ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში.

- აღიარების მეორე დღესვე აცხადებდნენ რუსულ ტელეარხებზე, რომ გვესვრიან უკრაინელი სეპარატისტებიო...

- ყველას გვახსოვს, რა პროვოკაციები იყო სამხრეთ ოსეთში, საზღვრის მცირე ტერიტორიაზე და აქ ოსეთთან შედარებით ასჯერ მეტ ტერიტორიასთან გვაქვს საქმე. ფიზიკურად ვინ გააკონტროლებს ამ სიტუაციას? ამ ხელშეკრულების შემდეგ, რომელსაც რუსეთი დადებს დონეცკთან და ლუგანსკთან, ამოქმედდება მისი ყველაზე საში“ პუნქტი სამხედრო დახმარებაზე. „მე შემყავს ჩემი ჯარები დამოუკიდებელ რესპუბლიკებში, რათა დავიცვა საზღვარი“ - მორჩა, რუსეთი ამიერიდან ამით დაიწყებს აპელირებას.

- პრინციპში, იქნებ ეს იყოს უკეთესი გამოსავალი, რადგან აგვაცილებს გლობალურ ომს...

- ყველაფერი აქ რომ დასრულდეს, მართლაც შეგვიძლია, ამოვისუნთქოთ, რადგან ატომურ ომს აგვაცილა იმის მიუხედავად, რომ მივიღეთ კიდევ ერთი დიდი გაჟინული კონფლიქტი, ისეთი, როგორიც საქართველოშიც არის და მოლდოვაშიც, მაგრამ... ვაი, რომ ამით არ დასრულდება. ხომ იცით, პირველ აქტში თუ კედელზე თოფი ჰკიდია, იგი აუცილებლად გაისვრის ბოლო აქტში მაინც. აქ კი იმდენი იარაღი, პატრიოტულად განწყობილი, ომის მოლოდინით აღგზნებული საჯარისო ნაწილია, რომ ასე მშვიდობიანად კონფლიქტს ვერ დაასრულებენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში, სადაც არ არის მდგრადი დემოკრატია, მოსალოდნელია გამოსვლები, გამოხდომები, არ იცი, სად რას უნდა ელოდო, ვინ რას მოიმოქმედებს და სხვა. ჯერჯერობით კონფლიქტი არ დასრულებულა, ყველაფერი წინ გვაქვს.

- ფიქრობთ, მოსკოვი კიევზე მიიტანს იერიშს? ნუთუ მართალია, პუტინს საბჭოთა კავშირის აღდგენა სურსო?

- ამის თქმაც კი მეშინია. მოდით, იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ეტაპზე რუსეთი დაკმაყოფილდება თავისი ჯარის შუაგულ უკრაინაში დაბანაკებით, რითაც, აუცილებლობის შემთხვევაში, შეძლებს, უცებ გადაკეტოს სამხრეთი. აქვე გვერდითაა ხარკოვი და სხვა მსხვილი დასახლებები. კიდევ ვიმეორებ, არ მშურს დასავლელი პოლიტიკოსების, მერიდება თქმა, მაგრამ ისევ ვიტყვი - ყველა იმკის დათესილს. თუკი ამბობ, რომ ხელშეუხებელია სუვერენიტეტი, რაც უნდა პატარა ქვეყანა იყოს საქართველო, არ უნდა დაეშვათ მისი ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ახლა ამბობენ, შევცდით, წამოვეგეთ პროვოკაციასო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს შეცდომა, უფრო სწორად, თვალის დახუჭვა, ახლა უკვე ძვირად უჯდებათ და კიდევ უფრო ძვირად დაუჯდებათ მეოთხე აქტის განხორციელებას რომ შეუდგება მოსკოვი. იმით, რომ დასავლეთი არ ცნობს აფხაზეთსა და ოსეთს, ჩვენთვის რა იცვლება? სახელმწიფო ტერიტორიების 20%-ს ვერ ფლობ, რაც უზარმაზარი ტვირთია საქართველოსთვის. ერთხელ დახუჭე თვალი, მეორედ... მაშინ თქვი, კი, ბატონო, მე თვალს ვხუჭავ რუსეთზე, ამიტომ ჩემი იმედი ნუ გექნება. აბა, სანქციებს რომ უწესებ ლუგანსკს და დონეცკს, ეს რას უშველის საქმეს?!

- მთელ ამ სიტუაციაში ჩვენ რა გველის?

- სხვათა შორის, არც ჩვენი ხელისუფლების მშურს, იმიტომ, რომ რთულ სიტუაციაში ვართ. ზოგიერთი ჩემი რუსი მეგობარი, რომლებიც ოპოზიციაში არიან ხელისუფლებასთან, მწერენ, რომ საქართველოა რიგში, ანუ უკრაინას გადახარშავს და მერე ჩვენც მოგვხედავს. საქართველო ახლა ამაზე უნდა საუბრობდეს, ეს უნდა იყოს განხილვის ნომერ პირველი თემა. ჩართავ ცენტრალურ ტელევიზიებს და მიხვდები, რა ღრმა ჭაობში ვიმყოფებით. რაზე ლაპარაკობენ, რას განიხილავენ, რაზე იხარჯება დრო, ენერგია, პირდაპირ გასაოცარია. მე ვიცნობ ნორმალურ ქართველ პოლიტიკურ ექსპერტებს, რომლებიც საგარეო საქმეებზე მუშაობენ, მინიმუმ 10 კაცი მაინც გვყავს ასეთი. არც ერთი არ ჩანს ეკრანზე. ტელევიზიით დაბალი დონის „პროფესიონალიზმის“ ანგაჟირება ეროვნული პრობლემა გახდა. საერთაშორისო სიტუაციებს საერთოდ არ განიხილავენ, მოკლედ მიმოიხილავენ, რა თქვა ბაიდენმა, რა განაცხადა პუტინმა, შემდეგ გადადიან შიდა პოლიტიკაზე და ოპოზიციის ყველა საპროტესტო აქციას საფუძვლიანად აშუქებენ... არ უნდა თქვან, თავად რას ფიქრობენ, რას აპირებენ, როგორ ემზადებიან, რა მდგომარეობაშია ქვეყანა? ყველაფერი შემოიფარგლება ლიტონი სიტყვებით, როყიო ლოზუნგებით, დაპირებებით და...

- ბატონო გიორგი, ირმა ინაშვილის და მისი თანამოაზრეების წერილზე რას იტყვით, პუტინს რომ აახლა?

- ოოო, ძალიან სერიოზული წერილია. თუკი პუტინი დააპირებს „ამოძრავებას“ საქართველოს მიმართულებით, მას აქ დასაყრდენი ძალები დასჭირდება. მართალია, ამ უსტარის ხელმომწერების უკან მაინცდამაინც დიდი ძალა არ დგას, მაგრამ ეს ყველაფერი დაძაბულობის ამ ეტაპზე დამაფიქრებელია. აი, თუნდაც ეს საკითხი ფართოდ არ უნდა გაეშუქებინათ?! გააჟღერეს რამდენიმე წინადადებით და დაივიწყეს. იგივე ირმა უნდა მოიწვიო ტელევიზიაში და ათქმევინო, რატომ წერს, რას ფიქრობს. თუ უარს იტყოდა ტელეეთერზე, თარხან-მოურავისთვის ეთქვათ, ის ყველგან მიდის... ანუ ეს წერილიც შეირჩინა ქართულმა საზოგადოებამ. უნდა გავაცნობიეროთ, რომ აკვარიუმში ვართ, სადაც დაცურავენ დიდი და პატარა თევზები. დიდებში მოიაზრება აშშ, რუსეთი, ჩინეთი. მათ მოყვებათ ბირთვული ინგლისი, საფრანგეთი და ეკონომიკის გიგანტები - გერმანია, იაპონია. ესენი განაგებენ მსოფლიოს ახლა და განაგებდნენ ადრე. ყოველთვის იყო ასე. ძალა განაგებდა სამყაროს. ჩვენ ახლა რეალურ პოლიტიკაში ვცხოვრობთ, რომანტიზმზე აგებული პოლიტიკა უკვე 30-40 წელია არ მუშაობს. როგორც ვთქვით, რუსეთი არის ერთ-ერთი დიდი თევზი, რომელსაც აქვს იმპერიული ინტერესები. პირდაპირ ვიტყვი, არც მომერიდება, ჩვენ რომ ვყოფილიყავით დღეს იმპერია, ჩვენც გვექნებოდა ზრახვები. ზოგ ქართველს ახლაც აქვს შემორჩენილი მე-12 საუკუნის აზროვნება და იმ ტერიტორიებზეც კი აქვს პრეტენზია, რომელიც არც მაშინ გვეკუთნოდა ჩვენ, უბარლოდ, ძლიერები ვიყავით და დავიპყარით. ანუ, ესაა ყველა იმპერიის ლოგიკა. ამიტომ, უნდა ვუყუროთ რუსულ გადაცემებს, მართალია, საშინელი გადაცემებია, სტუმარს იწვევენ და შემდეგ თავზე „ახურავენ“ ყველაფერს, მაგრამ იქ დიად ამბობენ, რას აპირებენ, არავისი ერიდებათ და არც ფარავენ რამეს. უნდა უსმინო, გაანალიზო, ამოიკითხო. ჯერ იდეოლოგიური შტურმი მიდის, რასაც შემდეგ რეალურად ახორციელებენ. ამის კვალდაკვალ უნდა ჩატარდეს დახურულ ფორმატში კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, ანალიტიკური გადაცემები და სხვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამით არავინაა დაინტერესებული.

> *მართალია, ამ უსტარის ხელმომწერების უკან მაინცდამაინც დიდი ძალა არ დგას, მაგრამ ეს ყველაფერი დაძაბულობის ამ ეტაპზე დამაფიქრებელია. აი, თუნდაც ეს საკითხი ფართოდ არ უნდა გაეშუქებინათ?! გააჟღერეს რამდენიმე წინადადებით და დაივიწყეს. იგივე ირმა უნდა მოიწვიო ტელევიზიაში და ათქმევინო, რატომ წერს, რას ფიქრობს*

მათე ფუტკარაძე არჩევნებში ჩაება

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გარდაცვლილი დეპუტატის ნუგზარ ფუტკარაძის შვილი - მათე ფუტკარაძე დაასახელა.

ნუგზარ ფუტკარაძე 2021 წელს, ბათუმის საკრებულოს არჩევნებში მეოთხე სამაჟორიტარო ოლქში გამარჯვების შემდეგ, მალევე გარდაიცვალა. „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი წევრის გარდაცვალებას ზეწოლით გამოწვეულ ნერვიულობას უკავშირებს. ოპოზიციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თანაპარტიელის მოსყიდვის მცდელობა „ქართული ოცნების“ ინიციატივით ხდებოდა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების გამო ბათუმის მეოთხე სამაჟორიტარო ოლქში შუალედური არჩევნები გამოცხადდა, კენჭისყრის დღედ კი 2022 წლის 2 აპრილი დასახელდა.

2 აპრილის შუალედურ არჩევნებში მათე ფუტკარაძის კონკურენტი მეოთხე სამაჟორიტარო ოლქში „ქართული ოცნებიდან“ რამაზ ჯინჭარაძე იქნება. იგი ბოლო წლებში აჭარის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე იყო.

შეგახსენებთ: 2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ბათუმის 35-წევრიან საკრებულოში ერთპარტიული უმრავლესობის შესაქმნელად საჭირო ხმები ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა. 16 მანდატი მიიღო „ქართულმა ოცნებამ“ და საერთო ჯამში, 19 - ოპოზიციამ: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ - 15, პარტიამ „საქართველოსთვის“ - 3 და „ლელომ“ - 1. არჩევნების შედეგების მიხედვით მანდატების პირველადი გადანაწილება შეიცვალა ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების გამო და მას შემდეგ, რაც 29 ოქტომბერს ბათუმის საკრებულოში პარტიის „საქართველოსთვის“ პროპორციული სიით არჩეულმა ირაკლი თავდგირიძემ პარტიის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა და განაცხადა, რომ საკრებულოში დამოუკიდებელ წევრად იმუშავებს.

დღევანდელი მოცემულობით, ბათუმის საკრებულოში 34 წევრია და მათგან 17 - ოპოზიციური პარტიებიდან.

ახალი მოწვევის საკრებულო 3 დეკემბერს, საკუთარი უფლებამოსილების ცნობის მიზნით ჩატარებული პირველი სხდომის შემდეგ, ვედარ ახერხებს შეკრებას და თავმჯდომარის არჩევას, რადგან გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სულ მცირე 18 ხმა არცერთ მხარეს არ აქვს.

*გთავაზობთ ინტერვიუს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ **მათე ფუტკარაძესთან**.*

- მოკლედ გვითხარით თქვენ შესახებ.

- მე ვარ მათე ფუტკარაძე, ნუგზარ ფუტკარაძის შვილი. მყავს მეუღლე და ორი შვილი, პირველი და მეორე კურსის სტუდენტები.

- რატომ გადაწყვიტეთ მონაწილეობა შუალედურ არჩევნებში?

- ჩემი მიზანი არ ყოფილა პოლიტიკაში მოსვლა, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა საშიშმა და საკმაოდ ცუდმა მოვლენებმა მიმაღებინა გადაწყვეტილება, შემოვიდე ამ უსამართლო და უთანასწორო ბრძოლაში და ღირსეულად გავაგრძელო მამის, ნუგზარ ფუტკარაძის გზა.

- გაქვთ თუ არა პოლიტიკური გამოცდილება?

- პოლიტიკური გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ მიცემული სიტყვის დაცვა და მოპოვებული ნდობის გამართლება აკლია ყველაზე მეტად დღეს პოლიტიკას. ეს ნამდვილად შემიძლია, იმიტომ, რომ არ მიყვარს სიტყვის გამტეხი ხალხი.

- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ჩაანაცვლოთ მამა, რომელიც დიდი ხანი მოღვაწეობდა პოლიტიკაში?

- მამის ღირსეული გზის გაგრძელებას ვაპირებ და არა მის ჩანაცვლებას. ნუგზარ ფუტკარაძის ჩანაცვლება შეუძლებელია, მან თავისი სიტყვა თქვა, ახალი პოლიტიკური სტანდარტი დაამკვიდრა ქართულ რეალობაში და ისე წავიდა.

- რამდენად იცნობთ ამ ოლქის ელექტორატს?

- ამ ოლქში მყავს ნათესავები, მეგობრები, ოჯახის ახლობლები, მამის მეგობრები... ბევრიც კარდაკარ სიარულისას გავიცანი, კიდევ გავიცნობ ბევრს...

- იზიარებთ ენმ-ის პოლიტიკურ კურსს თუ ბატონი ნუგზარის ხსოვნის საპატივცემულოდ გადადგით ეს ნაბიჯი?

- ამ პარტიის მხარდამჭერი ყოველთვის ვიყავი. აქციებშიც ვმონაწილეობდი, მათი იდეები ჩემთვის მისაღებია და ვეთანხმები ბევრ პრინციპულ საკითხში.

- რა მოგწონთ და რა არა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამაში?

- წინასაარჩევნოდ, განსაკუთრებული, ქვეყნის მასშტაბით გამორჩეული კამპანია ქონდა ენმ-ს და სრულიად ოპოზიციას, მომავალზე ორიენტირებული, სიძულვილისა და ზიზღის ენის გარეშე, სადაც, გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობაზე კეთდებოდა აქცენტი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წამყვანი ძალაა ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში, რომელიც იბრძვის საქართველოს და ქართველი ხალხის სასიკეთოდ. ამ პარტიის მმართველობის დროს აყვავდა და აშენდა საქართველო, ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფო, შეიქმნა ინსტიტუციები, რომელიც ახლაც გამართულად მუშაობს. ყველაფერ ამას ხვდება ხალხი და იმიტომ უჭერს მხარს დღემდე. რა არ გადახდათ თავს, მაგრამ ისევ ერთად დგანან და ისევ ერთად იღვწიან საქართველოსთვის. ამიტომ მეამაყება, რომ სწორედ ამ პარტიის მხარდაჭერით ვიყრი კენჭს იქ, სადაც თავის დროზე მამამ გაიმარჯვა.

- საკმაოდ რთული ბრძოლა გელით, თქვენი კონკურენტი გამოცდილი კადრია. რამაზ ჯინჭარაძეს ბევრი იცნობს და მხარს უჭერს, რადგან წლების განმავლობაში ახორციელებდა სოციალურ პროგრამებს, რაც თავისთავად გულისხმობს ხალხის მომადლიერებას. რამდენად ხართ მზად ამისთვის?

- წინა კითხვაზე პასუხის დროსაც აღვნიშნე, რომ ეს ბრძოლა არ იქნება მარტივი. მესმის, რომ უთანასწორო ოპონირებაში აღმოვჩნდი, სადაც მთელი სახელისუფლებო მანქანა და ფულია ჩართული. „ქართული ოცნება“ ყველა ძალისხმევით ეცდება ამ არჩევნების მოგებას, არაფერზე დაიხევს უკან, მაგრამ ეს ღირსების არჩევნებია. 2 ოქტომბერს მამამ სრულიად უფულოდ, საკუთარი საქმით, სახელით და ავტორიტეტით გაიმარჯვა პირველივე ტურში. იგი იბრძოდა გამარჯვების შემდეგაც, ბოლომდე დაიცვა საკუთარი ამომრჩევლის ნდობა და არ გაიყიდა. ეს პრინციპულობა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ყველამ იცის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ გზით და ამ ფორმით გამოათავისუფლა ეს მანდატი, რომლის მიტაცებასაც ახლა რამაზ ჯინჭარაძე ცდილობს. მე არ ვაპირებ ჩემი კონკურენტის კრიტიკას. ყველა საკუთარ სინდისთან იყოს მართალი. ვის რა გაუკეთებია ხალხისთვის და რა ავტორიტეტით სარგებლობდა, ეს ნუგზარ ფუტკარაძემ დაამტკიცა უკვე 2 ოქტომბერს, დანარჩენი 2 აპრილს გამოჩნდება. ისტორიულად ქართველებს ბევრი რამ აგვიტანია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ქართველი ერი ღირსების მხარეს იდგა ყოველთვის. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება, გამოჩნდება, რა ღირს სინდისი, პატიოსნება, ზნეობა და მორალი. ხალხის გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლებლად და დაუშვებლად მიმაჩნია. ერთ დროს მიღებულ არჩევანს ახლაც დაიცავს ჩვენი ამომრჩეველი, ბათუმელები. მე ამის მჯერა.

- „ქართული ოცნების“ ლიდერები ბოლომდე იბრძოლებენ ამ ოლქში გამარჯვებისთვის, რადგან ეს პრინციპული საკითხია, ვგულისხმობ ბათუმის საკრებულოს უმრავლესობის ჩამოყალიბებას. შესაძლოა, იმაზე მეტად დაიხარჯოთ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს...

- პრინციპული საკითხებისთვის პრინციპული ხალხი ბოლომდე იბრძვის. „ქართული ოცნება“ კი დაცლილია პრინციპებისა და იდეებისაგან. ის ძალაუფლების და საკუთარი კომფორტის შენარჩუნებისთვის იბრძვის, საზოგადოებას კი ცვლილებები სჭირდება და 2 აპრილს ამ გადაწყვეტილებას დაუჭერს მხარს. ქალაქს შველა სჭირდება, რისთვისაც აუცილებელია ჩამოყალიბდეს ოპიზიციური საკრებულო. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ბათუმის სამართლიანად მართვას. მე ჩემს ვალდებულებას ვგრძნობ არა მხოლოდ მამის, არამედ მთელი ოპოზიციური სპექტრის, მთელი ბათუმის წინაშე. დარწმუნებული ვარ, ბათუმელები დამეთანხმებიან, რომ აუცილებელია შეიცვალოს ის რეჟიმი, ახლა უმოქმედობისკენ, კორუფციული გარიგებებისკენ რომ ეჭაჩება მმართველ გუნდს და მის მიმდევრებს.

- რა არ მოგწონთ მმართველი პარტიის გუნდში?

- ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ყველაფერზე არ უნდა წახვიდე... სიტყვას რომ იტყვი, ის უნდა შეასრულო და ტყუილი არ უნდა აკადრო საკუთარ მოსახლეობას. ჩვენ კი უკვე იმდენი ტყუილის მომსწრე გავხდით, რომ ასე ვედარ გაგრძელდება, სადღაც უნდა გაწყდეს ეს წრე, ახლიდან რომ არ დაიწყონ ათვლა.

- რას ეტყვით ბათუმელებს, რატომ უნდა აგირჩიონ თქვენ, თუ გაქვთ კონკრეტული პროგრამა, რასაც შესთავაზებთ ქალაქელებს?

- აქ ჩემს არჩევაზე ხომ არ არის საქმე? მათ საკუთარ არჩევანს უნდა დაუჭირონ ისევ მხარი. ცვლილებები და ნუგზარ ფუტკარაძე აირჩიეს 2 ოქტომბერს. მიენდნენ კაცს, რომელსაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა მათი ნდობის გამართლება და მიცემული სიტყვის შესრულება. არაფერი შეცვლილა მას შემდეგ. იგივე სცენარი მეორდება, ვარ მე და არის პარტია, რომელიც ქალაქს სრულიად ახალ სიცოცხლეს, ახალ მმართველობას და კეთილდღეობას ჰპირდება. თუკი მოგვენდნენ მაშინ, მოგვენდობიან ახლაც. სხვაგვარად არ მოხდება, სხვა ფინალი წარმოუდგენელი და არალოგიკურია.

- ყველაზე დიდ პრობლემად რა მიგაჩნიათ ქალაქში?

- ქალაქს უამრავი პრობლემა აქვს, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... თუ გნებავთ, ყოფითზე გავამახვილებ ყურადღებას და კონკრეტულზე ვისაუბრებ. მაგალითად, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში წყლის და კანალიზაციის საკითხი დღემდე მოუგვარებელია, ასევე დიდი პრობლემაა ნაგავსაყრელი - სრულიად ქალაქისთვის და მთელი აჭარისთვის. რამდენჯერ იყო ამაზე საუბარი, რამდენი ფული ჩაიდო, მაგრამ შედეგი ისევ და ისევ არ ჩანს... ან კიდევ, ყველა ვხედავთ, რა ხდება ფრიდონ ხალვაშის გამზირზე - მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და საცობები. ქალაქს ინვესტიციები სჭირდება, ტურიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესი რომ განვითარდეს, ხალხი დასაქმდეს. ბათუმელებს არ უნდა უჭირდეთ ფინანსურად, იმდენი ახალი შესაძლებლობის გაჩენაა შესაძლებელი, მაგრამ სანამ საკრებულო არ გახდება ოპოზიციური, მანამ ვერავინ შეძლებს ბიუჯეტის სწორად განაწილებას და მის მიმართვას იმ კუთხით, ბათუმს რომ წაადგება. ელემენტარულია, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველი ძლიერი წვიმის დროს ქუჩები ისევ და ისევ იტბორება, მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, უნებართვო მშენებლობების ბუმია, რომელიც აზარალებს როგორც ქალაქის იერსახეს, ისე, თავად მოსახლეობას - მზე ვედარ აღწევს ბინებში და ზაფხულობით სუნთქვაც გაძნელებულია. ახლა ავარიული სახლების პრობლემაც დადგა, რაც უზარმაზარ ფინანსებს და ამ ფინანსების სკრუპულოზურ განაწილებას ითხოვს, რათა აღარასოდეს განმეორდეს ის ტრაგედია, ახლახანს რომ განვიცადეთ მთელმა ქალაქმა. ყველამ კარგად იცის, რომ არავინ ეძებს ნამდვილ დამნაშავეებს, მუშებზე გადატეხეს ყველაფერი, არადა, არ იყო რთული გამოსარკვევი, რა მოხდა იქ სინამდვილეში. არ აწყობდათ და არ გამოარკვიეს. ძველ ბათუმშიცაა ავარიული სახლები, იქაც მისახედია ყველაფერი, მაგრამ ჯერ საკრებულოც ვერ აამუშავეს. მმართველი პარტია ბოიკოტს უცხადებს ქალაქს. მჯერა, 2 აპრილს ერთად დადგება გონიო-კვარიათის მოსახლეობა და კიდევ ერთხელ ჩაგვაბარებს ნდობის მანდატს, რომელსაც ისევ და ისევ, ქალაქის და ქალაქელთა საკეთილდღეოდ გამოვიყენებთ.

> **„მე არ ვაპირებ ჩემი კონკურენტის კრიტიკას. ყველა საკუთარ სინდისთან იყოს მართალი. ვის რა გაუკეთებია ხალხისთვის და რა ავტორიტეტით სარგებლობდა, ეს ნუგზარ ფუტკარაძემ დაამტკიცა უკვე 2 ოქტომბერს, დანარჩენი 2 აპრილს გამოჩნდება“**

საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს

მე-3 გვერდიდან

რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დააანონსა ავსტრალიამაც.

როგორც პრემიერ-მინისტრმა სკოტ მორისონმა განაცხადა, მთავრობამ ახალი ზომები „რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის“ საპასუხოდ მიიღო. მისი თქმით, ავსტრალია პირველ რიგში დააწესებს სამოგზაურო შეზღუდვებს და ფინანსურ სანქციებს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს რვა წევრის წინააღდეგ. სკოტ მორისონმა განმარტა, რომ კანბერა ასევე დააწესებს მკაცრ ეკონომიკურ სანქციებს აღმოსავლეთ უკრაინაში მდებარე სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ორშაბათს „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად“ აღიარა. ავსტრალია სანქციებს რამდენიმე რუსულ ბანკსაც დაუწესებს.

იაპონიაც არ იწონებს რუსეთს უკრაინაში განხორციელებულ ქმედებებს და ამ ქვეყანამაც სანქციები დაუწესა რუსეთს. სანქციები ითვალისწინებს იაპონიაში რუსული ობლიგაციების გამოშვების აკრძალვას, გარკვეული ფიზიკური პირების აქტივების გაყინვას და ასევე, იაპონიაში მოგზაურობის შეზღუდვას.

ჩინეთი რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციების დაწესებას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ის არ მიმართავს მსგავს ზომებს.

- ჩვენ გვჯერა, რომ სანქციები არასოდეს არის ფუნდამენტური და ეფექტური გზა პრობლემების გადასაჭრელად. ჩინეთი ყოველთვის ეწინააღმდეგება ნებისმიერ უკანონო ცალმხრივ სანქციებს, - აღნიშნა პრესსპიკერმა და გაიმეორა, რომ მხარეებმა უნდა მოძებნონ დიალოგის გადაწყვეტის გზა.

რუსეთი სანქციებით დაზარალდება, თუმცა, როგორც ჩანს ვლადიმირ პუტინს არც ეს აწუხებს.

„ყველაფერს მიაღწევ, როცა მონდომებული და შრომისმოყვარე ხარ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მაიკო ტურაბელიძე ქართულ ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში საპატიო ადგილს იმკვიდრებს. იგი იტალიელების რძალია. შარშან აჭარის მთიანეთს გაეცნო. უზომოდაა შეყვარებული საქართველოსა და მის თითოეულ კუთხეზე, რაც საუბარშიც გამოჩნდა.

– ქალბატონო მაიკო, ყველა თავისი ბედის მჭედელია, მაგრამ მაინც... ქუთაისიდან სიცილიაში როგორ აღმოჩნდით?

– არ ვფიქრობ, რომ ადამიანს ბედის გამოჭედვა შეუძლია. აბსოლუტურად ვეთანხმები გამოთქმას: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“. იტალიაში გათხოვება არასოდეს მიფიქრია, მით უმეტეს, სიცილიაში. ეს ვერც კი წარმომედგინა. ვინმეს რომ ეთქვა, ამ ნაბიჯს გადადგამო, ალბათ, გულიანად გავიცინებდი, მაგრამ... გადავდგი, თითქოს რაღაც ზებუნებრივი ძალის მანიპულირებით. მომავალი მეუღლე ქუთაისში გავიცანი. ის აქ ავტოქარხანაში სამუშაოდ იყო ჩამოსული, მე იტალიურ ენას ვასწავლიდი აგრონომიულ ინსტიტუტში. ეს ენა ბავშვობიდან მიყვარდა. უნივერსიტეტი როგორც კი დავამთავრე, მისი შესწავლა დავიწყე და საოცრება – 12 გაკვეთილის შემდეგ სუფთად დავიწყე საუბარი. ყველაფერს მიაღწევ, როცა მონდომებული და შრომისმოყვარე ხარ. ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპი ერთმანეთიდან გამომდინარეობს და, რა თქმა უნდა, საკუთარი ბედის მჭედელიც ვერ იქნები, როცა ასეა. იტალიური ენის მცოდნეები 90-იან წლებში ძალიან ცოტანი იყვნენ, ამიტომ ჩემი და მომავალი მეუღლის გზებიც ერთმანეთს სულ მალე შეეყარა. როგორც გითხარით, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ცოლად უცხოელს გავყვებოდი, რადგან სამშობლოზე სულით ხორცამდე შეყვარებული ადამიანი ვარ (ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, დღემდე ჩემი ქვეყნის მსახური), მაგრამ ერთმანეთი შეგვიყვარდა და დავქორწინდით. იგი ძალიან კარგი ადამიანია - კეთილშობილი, ყურადღებით სავსე, განათლებული, ჩემი დამფასებელი და რატომ არ უნდა შემყვარებოდა?! ჯვარი ქუთაისის წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში მამა გიორგიმ (გაბუნიამ) დაგვწერა. მეუღლე იმ დღეს მართლმადიდებლადაც მოინათლა. ქუთაისში უნდა გვეცხოვრა. საქმე ისე წავიდა, რომ იტალიაში გადავედით, თუმცა საქართველოში ხშირად ჩამოვდივართ და გარკვეულ პერიოდსაც ვატარებთ აქ.

– ხომ არ ცდილობთ, სიცილიელი მეუღლე საქართველოში ცხოვრებაზე დაიყოლიოთ?

– ამის დროც დადგება. რამდენიმე წელიწადში ვაპირებთ საქართველოში გადმოსვლას. თუ დღემდე იქიდან ჩამოვდიოდით, მალე აქედან ჩავალთ – მეუღლის დაპირებაა ასეთი. ვნახოთ...

– შვილების დამოკიდებულება საქართველოსადმი?

– მათ საქართველო ძალიან უყვართ. ისინი თავისუფლად წერენ, კითხულობენ და საუბრობენ ქართულად. ორივე ქუთაისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაშია მონათლული. სიამოვნებით ჩამოდიან აქ და მონაწილეობენ ქართულ ცხოვრებაში.

– დიდი აღიარება მოგიტანათ იტალიური ნაწარმოებების თარგმნამ...

– ვთარგმნი იტალიურ ლიტერატურას როგორც დიდებისთვის, ისე პატარებისთვის და ვთანამშრომლობ ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებთან („დილა“, „პეპელა“, „ახალი საუნჯე“...). ჟურნალ „ცისკრის“ რედკოლეგიის წევრი გახლავართ და „საბავშვო კარუსელთან“ ხელშეკულება მაქვს დადებული. აქტიურად ვთანამშრომლობ საგამომცემლო სახლ „საგასთან“, რომლის დირექტორია არაჩვეულებრივი ქალბატონი თამარ ნაჭყებია. მასთან ერთად გამოვეცი ჩემი ოთხი თარგმანი: მხატვრული ლიტერატურიდან – დაჩა მარაინის მოთხრობების კრებული „ჩემი ქმარი“, ვიტალიანო ბრნკატის რომანი „ლამაზი ანტონიო“, ალექსანდრე ჰმინეს რომანი „გასაღები რძეში“ და სამეცნიერო ლიტერატურიდან – მარიო ვალეს ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი „მონტესორის პედაგოგიკა და ახალი ტექნოლოგიები“. მხატვრული ლიტერატურიდან აღსანიშნავია „ლამაზი ანტონიო“ – მე ვიტყოდი, იტალიური ლიტერატურის შედევრი, რომლის მიხედვით

იხ. მე-8 გვ.

თარიღი

საბედისწერო თებერვალი – საქართველოს ისტორიაში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი, 1921 წლის თებერვალი... ძნელბედობის ჟამია ქვეყანაში, საქართველო ბოლშევიკური რუსეთის უღელქვეშ მოექცა. დიახ, 1921 წლის თებერვალში რუსეთის ძალისხმევით მოხდა საქართველოს გასაბჭოება, რამაც ჩვენს ქვეყანას მრავალი უბედურება მოუტანა, დღევანდელი პრობლემები გარკვეულწილად, იმ ოკუპაციის შედეგია. ამიტომ ღირს ამ ფაქტთან დაკავშირებით წარსულის გახსენება, განსაკუთრებით რუსეთუმეთა საყურადღებოდ უნდა ვთქვათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 101 წლის წინ, თებერვალში, რუსეთმა საქართველო დაიპყრო!

დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც ცნობილია, სამი წელი იარსება, ამიტომ ხშირად ისმის კითხვა: ამ დროში განხორციელებულმა რეფორმებმა რამდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფოს განმტკიცებისთვის? ახლს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ დამოუკიდებელობის სამი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების ყურადღება ძირითადად, მიმართული იყო საგარეო ფრონტისკენ, რადგან ქვეყანამ, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა მაშინ გამოაცხადა, როცა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული პირველი მსოფლიო ომი, სერიოზული საფრთხე არსებობდა არა მარტო საბჭოთა რუსეთისგან, არამედ თურქეთისგანაც. ამ ფონზე, ქვეყნის დროში დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მრავალი წარმატებული რეფორმა გაატარა. კერძოდ, სახელმწიფო ახალისებდა თავისუფალ ბაზარს და უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკაში, ქვეყანაში არსებობდა სრული პოლიტიკური თავისუფლება, მრავალფეროვანი პრესა. ხელისუფლების საქმიანობის შეფასებისას ერთ-ერთ სასიკეთო საქმედ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს კონსტიტუციის მიღება 1921 წლის თებერვალში. ეს კონსტიტუცია პარლამენტის მიერ, ფაქტობრივად, გახდა საქართველოს ახალი პოლიტიკური სისტემის იურიდიული საფუძველი, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა მის ამოქმედდებას ხელი შეუშალა - საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა.

როგორც ისტორიკოსები და პოლიტოლოგები აცხადებენ, ქვეყნის ხელისუფლება მაშინ სათანადო სიმაღლეზე რომ მდგარიყო და საზოგადოებრივი აზრის, მოსახლეობის მობილიზაციისთვის ემუშავა, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა ამ სავალალო ფაქტის აცილება. სამწუხაროდ, არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას მედგარი წინააღმდეგობა არ გამოუხატავს აგრესორისადმი, ანუ ეს გამოხატულება არ იყო იმ მასშტაბის, იმ ძალის, რომ გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ პროცესებზე. აშკარაა, რომ რაც ამ კუთხით საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა თუ ხელისუფლების ჯგუფებმა განახორციელეს, არასაკმარისი აღმოჩნდა. შედეგად მივიღეთ სრულიად განსხვავებული ვითარება - საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ასეთ ფონზე, ძალიან დასაფასებელია ქართველი გენერლების და იუნკრების მოქმედება, სწორედ მათი ბრძოლის შედეგია ის წარმატებები, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა საგარეო პოლიტიკურ მტრებთან შეტაკებისას აღწევდა. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეროვნული გვარდიის და წითელარმიელების ერთობლივი ბრძოლა ბათუმის შენარჩუნებისთვის. სხვათა შორის, ისტორიკოსები ამბობენ, რომ ბათუმის მოვლენების შეფასება ხშირად ისტორიიზმის პრინციპების დარღვევით ხდება. საქმე ის გახლავთ, რომ ბათუმის ბედი გადაწყდა ჯერ კიდევ მოსკოვ-ანკარის მოლაპარაკების დროს, როდესაც თურქეთსა და რუსეთს შორის მოხდა გარიგება ტერიტორებთან დაკავშირებით. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მოსკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს გასაბჭოება. ამ პროცესს რუსეთის გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკური ინტერესები ედო საფუძვლად. მაშინ რუსეთის იმპერიაში ნავთობის მომარაგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ბაქო იყო, ეს ფაქტორი უკვე აისახებოდა ბათუმთან მიმართებაში. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე რუსეთმა აზერბაიჯანი დაიპყრო. ეს თბილისისთვის სიგნალი უნდა ყოფილიყო, რომ მალე ამ ქვეყნის ბედს საქართველოც გაიზიარებდა. ბაქო-ბათუმი იყო გეოეკონომიკური სტრატეგიული მილსადენი და მოსკოვი ყველანაირად შეეცდებოდა, რომ ჩვენი ქალაქი დარჩენილიყო მის გავლენაში. ასეც მოხდა. საბჭოთა არმია და ქართული გვარდია, ფაქტობრივად, ერთად გამოვიდნენ თურქეთის ჯარების წინააღმდეგ და ბათუმი შეუნარჩუნეს საქართველოს. ცხადია, დასაფასებელია იმ გმირების თავდადება, ვინც ამ ბრძოლებში მონაწილეობდა, თითოეული ასეთი ბრძოლაც ხომ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ემსახურებოდა. საქართველო რომ არასდროს ეგუებოდა დამპყრობლებს, ცნობილია, ამას 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც ცხადყოფს. ჭიათურაში შეიარაღებული გამოსვლა 28 აგვისტოს დაიწყო, ერთი დღით ადრე დათქმულ დრომდე, რამაც არეულობა და დაქსაქსულობა გამოიწვია. ჩეკისტებმა ისარგებლეს, დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. მიუხედავად ამისა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი არ შედრკა და თავს დაესხა მანგლისში განლაგებულ რუსულ სამხედრო ყაზარმებს, აჯანყებულებმა აიღეს მანგლისი, შემდეგ ქართლში გადავიდნენ, სექტემბრის დასაწყისში კი დუშეთი აიღეს, შემდეგ ერწოს მიაშურეს, სადაც უფრო სასტიკი ბრძოლა გაიმართა. მტრის რიცხოვნობამ თავისი გაიტანა და აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. მათ ირგვლივ რკალი შეიკრა, რომელიც უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი იძულებული შეიქნა, სამშობლო დაეტოვებინა. ამას მოჰყვა 1937 წლის უსასტიკესი რეპრესიები...

1956 წლის 9 მარტს საოკუპაციო ჯარებმა ჩაახშეს ქართველთა მშვიდობიანი დემონსტრაციები.

დავიწყებას არასდროს მიეცემა 1989 წლის 9 აპრილის მომიტინგეთა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რითაც ქართველები ხელისუფლებისგან სამშობლოს რუსეთის ოკუპაციისგან თავდახსნას ითხოვდნენ. კარგად გვახსოვს, რომ რუსმა სამხედროებმა ნიჩბებით ბარბაროსულად დაარბიეს მომიტინგეები, რამაც 24 მშვიდობიანი დემონსტრანტის სიცოცხლე შეიწირა.

რუსეთის საქართველოსადმი ძალმომრეობის აპოგეა იყო 2008 წლის აგვისტოს მოვლენები. მან არა მხოლოდ აგრესია განახორციელა საქართველოს მიმართ, არამედ აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამიტომ ვიდრე არ მოხდება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, მანამდე საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ვერ დარეგულირდება, რაც უპირველესად, რუსეთმა უნდა გააცნობიეროს და საქართველოს ინტერესების შესაბამისი ნაბიჯები გადადგას.

> **„** *საბჭოთა არმია და ქართული გვარდია, ფაქტობრივად, ერთად გამოვიდნენ თურქეთის ჯარების წინააღმდეგ და ბათუმი შეუნარჩუნეს საქართველოს. ცხადია, დასაფასებელია იმ გმირების თავდადება, ვინც ამ ბრძოლებში მონაწილეობდა, თითოეული ასეთი ბრძოლაც ხომ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ემსახურებოდა*

შიგნით არსებული გარკვეული დესტრუქციული ძალები გარე პოლიტიკურ ძალებთან ერთად ხშირად ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ერთი სიტყვით, საკმაოდ რთული საგარეო პოლიტიკური სიტუაცია გვქონდა, განსაკუთრებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აქ ქვეყანა რეალურად დადგა ტერიტორიის დაკარგვის საფრთხის წინაშე და მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების ყურადღება ამ კუთხითაც წარიმართა. ასეთი რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე ძალიან ძნელია ხელისუფლებას მოსთხოვო ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება და მათი შედეგი. ამიტომ, ცხადია, მან თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გააკეთა, თუმცა, ფაქტია, რომ ხელისუფლება პარალელურად მუშაობდა ახალი პოლიტიკური სისტემის შექმნაზე. ახალი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი შეცდომების მიუხედავად, არსებობის მოკლე

ქალ ძიუდოისტთა წარმატება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გორში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში, რომელშიც ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის 14 ძიუდოისტი გოგონა მონაწილეობდა. ჩვენმა სპორტსმენებმა შესანიშნავად იასპარეზეს - მათ სამი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო დაისაკუთრეს

რაც შეეხება გამარჯვებულებს, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში და წონით კატეგორიაში პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული ნინო დიასამიძემ, ნინო დარჩიამ, მარიკა ფოთელიძემ მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს ანა ბერიძემ და თამუნა დოლიძემ, ბრინჯაოს დასჯერდა ნინო ფოთელიძე.

- ძალიან კარგად იბრძოლეს გოგონებმა და მსაჯთა მოწონებაც დაიმსახურეს, - გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჭიდაობა სამბოში, აჭარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ძიუდოში ნანი კირკიტაძემ.

ეს წელს ჩვენი გოგონების პირველი ოფიციალური მონაწილეობა იყო შეჯიბრებაში, თუმცა, როგორც მწვრთნელმა გვითხრა, ისინი პანდემიის დროსაც არ გაჩერებულან. თბილისში ხორციელდება პროგრამა „მომავალი ძიუდო - მოქნილი გზა წარმატებისკენ“, რომელსაც დავით ქევხიშვილი კურირებს, აღნიშნულ პროგრამაში მისი აღსაზრდელებიც არიან ჩართულები, ძირითადად, 2006, 2007 წლებში დაბადებული სპორტსმენები. მათ წვრთნა არ შეუჩერებიათ, რა თქმა უნდა, რეგულაციების სრული დაცვით. ამას გარდა, ისინი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამაშიც - „მასობრივი სპორტული სახეობების განვითარებისთვის“ არიან ჩართულები. აღსანიშნავია, რომ ქალ ძიუდოისტებთან ასევე მუშაობს ახალგაზრდა პერსპექტიული მწვრთნელი მალვინა კირკიტაძე.

სპორტსმენები მარიკა ფოთელიძე და ნინო დარჩია ახალსოფლის საჯარო სკოლის (დირექტორი - ტარიელ მიქელაძე) მოსწავლეები არიან. მათ დიდი თანადგომა აქვთ სკოლის ხელმძღვანელობისგან, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის მესვეურებისგან.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს - საქართველოში წელს არაერთი შეჯიბრებაა დაგეგმილი, რომელშიც მონაწილეობას ჩვენი ქალი ძიუდოისტებიც მიიღებენ. მალე თურქეთი უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირებს, რომლებშიც ჩვენი გოგონებიც ჩაერთვებიან. ამას გარდა, ანტალიაში ყოველი წლის მარტში „ანტალიის თასი“ თამაშდება. თუ პანდემიის გამო რამე არ შეიცვალა, ქართველი სპორტსმენები ამ ასპარეზობაშიც მიიღებენ მონაწილეობას. გორში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები უკვე საქართველოს ნაკრების წევრები არიან და მომავალში სხვადასხვა დონის საერთაშორისო შეჯიბრებებზე სწორედ ისინი წარადგენენ საქართველოს.

როგორც ნანი კირკიტაძე ამბობს, ვარჯიშის პირობები ძალიან კარგი აქვთ. ყველა გვერდით უდგათ - სპორტის დეპარტამენტი, ხელვაჩაურის მერია, ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა, აჭარის ძიუდოს ფედერაცია.

ამ დღეებში თურქეთში ჩატარდა ონლაინსემინარები, რომელშიც ქალბატონი ნანიც მონაწილეობდა. ამის შემდეგ, საქართველო თურქებმა იმ პროგრამაში ჩართეს, რომელშიც არაერთი ქვეყანა მონაწილეობს. ეს არის ახალგაზრდა სპორტსმენთა ხელშეწყობის პროგრამა. იმართება საინტერესო შეჯიბრებები, რომელშიც ახალგაზრდები კარგ გამოცდილებას იღებენ. მარტში, ამ პროგრამის ფარგლებში, ნანი კირკიტაძესთან ერთად 15 გოგონა გაემგზავრება თურქეთის ქალაქ ქიბრისში. მათი მასპინძლობის ხარჯებს თურქული მხარე გაიღებს.

რუსმა ოლიგარქებმა 32 მილიარდი დოლარი დაკარგეს

რუსეთ-უკრაინის კრიზისის გამწვავების ფონზე უმდიდრესი რუსების ქონება მცირდება. საუბარია იმათ ქონებაზე, რომლებიც Bloomberg-ის 500 უმდიდრესი ადამიანების სიაში შედიან. წლის დასაწყისთან შედარებით, 23 რუსი მილიარდერის ქონება 32 მლრდ-ით არის შემცირებული და ამჟამად 343 მლრდ დოლარს შეადგენს.

გეოპოლიტიკური დაძაბულობა და დასავლეთის მხრიდან დაწესებული სანქციები პირდაპირ გავლენას ახდენს რუსეთის ეკონომიკაზე. გავრცელებული ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინის მეგობარმა გენადი ტიმჩენკომ, რომლის ქონების უდიდესი წილი გაზის მწარმოებელი რუსული კომპანია Novatek-ის წილის ფლობიდან მოდის, მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე 6,47 მილიარდი დოლარი დაკარგა. იმავე კომპანიის აქციონერია ლეონიდ მიხეილსონიც, რომლის ქონებაც წელს 6,23 მილიარდი დოლარით შემცირდა. რაც შეეხება „ლუკოილის“ ხელმძღვანელის ვაგიტ ალექპეროვის ქონებას, ის 3,5 მილიარდით არის შემცირებული, რაც ენერგოკომპანიის აქციების 17%-იან კლებას უკავშირდება.

აი, Bloomberg-ის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში შემავალი იმ ადამიანების სია, რომლებიც რუსეთის ფედერაციას წარმოადგენენ:

ვლადიმირ პოტანინი - ფლობს $29,7 მილიარდს, მისი ქონება მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით შემცირებულია $1,18 მილიარდით; ალექსეი მორდაშოვი - $27,6 მლრდ, კლება - $1,24 მლრდ; ვლადიმირ ლისინი - $26,7 მლრდ, კლება - $1,3 მლრდ; ლეონიდ მიხელსონი - $26,2 მლრდ, კლება - $6,23 მლრდ; ალიშერ უშმანოვი - $21,6 მლრდ, ზრდა - $329 მლნ; ვაგიტ ალეკპეროვ - $19,3 მლრდ, კლება - $3,48 მლრდ; ანდრეი მეილნიჩენკო - $18,4 მლრდ, ზრდა - $963 მლნ; ვიქტორ ველკსერლბერგი - $17,4 მლრდ, კლება - $1,04 მლრდ; გენადი ტიმჩენკო - $16 მლრდ, კლება - $6,47 მლრდ; რომან აბრამოვიჩი - $15,4 მლრდ, კლება - $2,58 მლრდ; სულეიმან კერიმოვი - $14,6 მლრდ, კლება - $618 მლნ; მიხაილ პროხოროვი - $13,7 მლრდ, კლება - $305 მლნ; მიხაილ ფრიდმანი - $12,5 მლრდ, კლება - $1,47 მლრდ; ვიქტორ რაშნიკოვი - $12,4 მლრდ, კლება - $1,79 მლრდ; დმიტრი რიბოლოევი - $10,8 მლრდ, კლება - $233 მლნ; ვიაჩესლავ კანტორი - $9,65 მლრდ, ზრდა - $621 მლნ; გერმან ხანი - $8,51 მლრდ, კლება - $997 მლნ; ალექსანდერ აბრამოვი - $8,08 მლრდ, კლება - $1 მლრდ; ანდრეი გურიევი - $7,61 მლრდ, კლება - $297 მლნ; ლეონიდ ფედუნი - $7,49 მლრდ, კლება - $1,43 მლრდ; ისკანდარ მახმუდოვი - $6,77 მლრდ, კლება - $1,12 მლრდ; ალექსეი კუზმიჩევი - $6,4 მლრდ, კლება - $764 მლნ; პიოტრ ავენი - $5,93 მლრდ, კლება - $488 მლნ.

ამირან გურიელიძე

ხსოვნა

იაშა დიასამიძე

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით ქვეყნის საერთო საქმის შუაგულში ტრიალებენ, კეთილ საქმეებს აკეთებენ და ღირსეულ კვალს ტოვებენ.

ასეთ ადამიანთა შორის იყო საქართველოში აბსტრაქტული მათემატიკის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი იაშა დიასამიძე.

დაიბადა 1943 წლის 5 მაისს სოფელ მარადიდში. იგი ბავშვობიდანვე ჩაება შრომის ფერხულში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობის რიგით წევრად, მოლარედ და ბუღალტრად. იყო გამორჩეული ხითხურო, ამზადებდა საბავშვო აკვნებს. ბევრს შეასწავლა ეს მადლიანი ხელობა. უანგაროდ ეხმარებოდა მეზობლებს. ცხოვრებამ ასწავლა იაშას ბრძოლაც და თმენაც, დაანათლა სიკეთის კეთების უნარი და აკეთებდა კიდეც, როგორც შეეძლო.

1956 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფელ მარადიდის რვაწლიანი სკოლა, 1958 წელს - აჭარისწყლის საშუალო სკოლა, 1960 წელს - აჭარის საკოლმეურნეო სკოლა, 1967 წელს - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1976 წელს დაამთავრა ლენინგრადის გერცენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ალგებრის კათედრის ასპირანტურა. 1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კიევის შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2003 წელს კი სადოქტორო დისერტაცია - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

იაშა დიასამიძე იყო თავისი საქმის პროფესიონალი, არაერთი თაობა აღუზარდა ქვეყანას. იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობის პედაგოგი გახლდათ, ყოველთვის ზრუნავდა და ფიქრობდა მათემატიკის განვითარებაზე. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მათემატიკის ცხრა დოქტორი.

იაშა დიასამიძის კვლევის ძირითადი ობიექტი იყო გაერთიანების სრული ნახევარმესერებით განსაზღვრულ ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები. მის შრომებში სრულადაა შესწავლილი ნახევარჯგუფებში ელემენტთა მარცხნიდან და მარჯვნიდან გაყოფადობის პირობები და გრინის ეკვივალენტობები.

იაშა დიასამიძე არის რუსულ ენაზე გამოცემული მონოგრაფიის „ბინარულ მიმართულებათა სრული ნახევარჯგუფები“ ავტორი, რომელიც აღიშნულ მიმართულებაში პირველია.

1968-1973 წლებში იყო ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის ლაბორანტი. 1977-1992 წლებში ეკავა ასპირანტის, მასწავლებლის და დოცენტის თანამდებობები. 1992-2004 წლებში იყო მათემატიკის კათედრის დოცენტი, 2004 წლიდან - ამავე კათედრის პროფესორი, ხოლო 2021 წლიდან - მათემატიკის დეპარტამენტის ემერიტუს პროფესორი.

წვლილი, რომელიც იაშა დიასამიძემ შეიტანა მათემატიკური მეცნიერების საგანძურში, უდავოდ, მნიშვნელოვანია. ასევე, ძვირფასია ჩვენთვის მისი, როგორც პედაგოგის ნაყოფიერი მუშაობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში. იაშას ცხოვრება და მოღვაწეობა იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვრო, რომ საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურო.

იაშა დიასამიძემ ქალბატონ ვიქტორიასთან ერთად შექმნა ლამაზი ოჯახი. ქვეყანას დაუტოვა ქალ-ვაჟი და ერთი შვილიშვილი.

დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით.

წავიდა ჩვენგან თავისი ქვეყნის, კუთხისა და გვარის ღირსეული შვილი. მისი ცხოვრება და ღვაწლი სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის ჭეშმარიტი მაგალითია.

იაშა დიასამიძე როგორც მეცნიერი, პედაგოგი და კეთილშობილი პიროვნება, დიდხანს ემახსოვრებათ მის მეგობრებს, კოლეგებსა და სტუდენტებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/02/22, 20 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მისი მუსიკალური შემოქმედების გზავნილი სიყვარული და თავისუფლებაა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ძლიერი შინაგანი ენერგეტიკა, საოცარი ხმის ტემბრი, სამსახიობო ოსტატობა - ეს მცირე ჩამონათვალია იმ თვისებებისა, რომლებიც ერთი ნახვით, ერთი მოსმენით მიგაჯაჭვებს მას და ხვდები, რომ შენ წინ დგას ხელოვანი, რომელიც არასდროს იმეორებს სხვის მიგნებებს, არასდროს არაფერს აკეთებს ზედაპირულად. ხედავ თავისი როლით, სათქმელით როგორ გიბიძგებს პიროვნული ზრდისკენ და შენც ენდობი, მიჰყვები. მალხაზ აბულაძეს მართლაც, დასამახსოვრებელი როლებით ძალიან კარგად იცნობს ის საზოგადოება, ვისაც უყვარს თეატრი, კინო, თუმცა არის კიდევ ერთი მიმართულება, რომლითაც თავის ემოციებს - გულისტკივილსა თუ სიხარულს ყველაზე მკვეთრად გვიზიარებს და ეს არის მუსიკა, მუსიკა - ცხოვრებასა და ყოველდღიურობასთან წილნაყარი.

მშობლიურ აჭარას ერთი თვის წინ სულ სხვა მიზეზით დაუბრუნდა, მაგრამ როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, აამღერა ბათუმმა, ქალაქმა, რომელშიც ხელოვნება ყვავის და სადაც სხვანაირი სიყვარული იციან, ეს ყველაფერი ერთად კი ქმნის ჰარმონიას მასში და უბიძგებს საკუთარი შინაგანი ემოციების გამოხატვისკენ. სწორედ ამის და ბათუმელი მეგობრების დამსახურებაა, რომ მალხაზ აბულაძეს ჩვენს ქალაქში უკვე ჰქონდა ორი საღამო, სადაც მეგობარ მუსიკოსებთან: გიორგი ყვანიასთან, ლაშა ქათამაძესთან და ნიკა აბაშმაძესთან ერთად საოცარი მუსიკა შესთავაზა მსმენელს, აჩუქა დაუვიწყარი წუთები.

„ურთიერთობა“ ასე ერქვა ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გამართულ მუსიკალურ საღამოს, სადაც ნამდვილად შედგა თბილი, საინტერესო და დასამახსოვრებელი ურთიერთობა, პანდემიის გამო ასე ძალიან რომ გვაკლია ხელოვნებისა და კულტურის მოყვარულთ.

- მე ვარ მსახიობი და, ბუნებრივია, მიწევს სხვადასხვა როლის აღქმა, შესრულება, მაგრამ დღეს არავის როლში არ შევდივარ, ეს ჩემი პირადი სივრცეა, პირადი სათქმელებით. საოცარი ემოციებით ვივსები, როცა აჭარაში ჩამოვდივარ. ამჯერადაც ასე მოხდა, სულ სხვა მიზეზებით ჩამოვედი, მაგრამ თვეზე მეტია აქ ვარ და ძალიან კარგი ადამიანების დახმარებით ორი მუსიკალური საღამო ჩავატარე, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ. მართლაც, საოცარი საღამო გამოვიდა, შედგა ძალიან კარგი ურთიერთობა ჩვენსა და მაყურებელს შორის, ეს ემოციები კი მიბიძგებს იქითკენ, რომ კიდევ უფრო მეტად გამოვხატო და მივიტანო საზოგადოებამდე ის, რაც ჩემშია. ჩემი მუსიკალური შემოქმედების გზავნილი სიყვარული და თავისუფლებაა, სწორედ ამ სათქმელით მივდივარ თითოეულ ჩემს მსმენელთან, მაყურებელთან, - აღნიშნა მალხაზ აბულაძემ.

მალხაზ აბულაძის შემოქმედებაზე გვესაუბრა ბათუმელი მუსიკოსი ნიკო ბერიძე, რომლის თქმითაც, ამ არტისტის ჯერ კიდევ წლების წინათ, თბილისში, მარჯანიშვილის სცენაზე ნანახ სპექტაკლ „მთვრალ ალუბალში“ შესრულებული როლით მოიხიბლა, შემდეგ კი მიეცა შესაძლებლობა, კიდევ უფრო ახლოს გაეცნო და მოესმინა მისი მუსიკისთვის, რომლის მთავარი ძალა სიმართლის და სამართლიანობის სიყვარულია.

- წლების წინათ გავიცანი მალხაზ აბულაძე, მახსოვს, როგორი აღფრთოვანებული ვიყავი მისი შესრულებით. მაშინ არც კი ვიცოდი რომ ის აჭარიდანაა, რაც ასე მეამაყება დღეს. მისი ყველა როლი, გინდ თეატრში, გინდ კინოში, საოცრად დიდი ძალისა და ენერგეტიკის მატარებელია, ის არის თავისი საქმის პროფესიონალი. რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა ჩემი მეგობრის ბარში, სადაც ვუთხარი, როგორ ვაფასებ და მიყვარს. იქ დაუკრა რამდენიმე სიმღერა და ასე დაიბადა იდეა, რომ ბათუმელ მსმენელს მისცემოდა მისი მოსმენის შესაძლებლობა. მალხაზ აბულაძის მუსიკიდან სიმართლე, მამაკაცური ძარღვი მოდის. როგორც კინოსა და თეატრში, მუსიკაშიც თავისი ხელწერა აქვს. ვინც კარგად და სიღრმისეულად მოუსმენს მის სიმღერებს, მიხვდება, რისი თქმა სურს მუსიკოსს, რა პროტესტი აქვს და რისკენ მოგვიწოდებს ადამიანებს. მინდა უდიდესი წარმატება ვუსურვო მას და მადლობა გადავუხადო ყველა იმ წუთისთვის, ურთიერთობისთვის, რასაც ის სცენაზე, თუ სცენის მიღმა გვჩუქნის, - გვითხრა ნიკო ბერიძემ.

«ქართული კულტურის დღეები - ერევანი 2022»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

«საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა» და ა(ა)იპ «დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების» ორგანიზებით, «ქართული კულტურის დღეები - ერევანი 2022» გაიმართა

ღონისძიებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან წარგზავნილი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო შუახევის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე დინა ფუტკარაძე. იგი «აჭარასთან» საუბრობს.

- შუახევიდან ხუთნი ვიყავით. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი სპეციალისტი თამარ ხიმშიაშვილი, წარმატებული ახალგაზრდა მარიამ

მიქელაძე, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის წევრი მაია მიქელაძე, შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლე ამანდა ზოიძე და მე. რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიყავი. მაშინაც სახმელეთო ტრანსპორტით ვიმგზავრეთ და ახლაც. თვალწინ დავინახეთ ის სახეცვლილებები, რაც ამ ქვეყანაშია.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ეჩმიაძინისა და რიფსიმეს ტაძრების მონახულებამ. საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად, შევხვდით სომხეთის რესპუბლიკის გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლებს. ერევანში სამი დღის განმავლობაში ვესწრებოდით ქართული ცეკვის, ღვინის, ტრადიციული კერძების, სიმღერის ფესტივალებს. საინტერესო და დაუვიწყარი შეხვედრა გაგვიმართა საქართველოს ელჩმა სომხეთის რესპუბლიკაში. დავუმეგობრდით ერევნელ თანატოლებს და ისინი აჭარაში მოვიპატიჟეთ. დაუვიწყარი იყო გამოსამშვიდობებელი საღამო, რომელზეც ჩვენი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებიც მოვიპატიჟეთ. საინტერესო რეპერტუარი წარმოგვიდგინეს ერევანსა და სხვა ქალაქებში მოქმედმა ანსამბლებმა. დასასრულ, ღონისძიების მონაწილეებს ორენოვანი დიპლომები გადმოგვცეს. ერევანსა და სომხეთის რესპუბლიკაში გატარებული დღეები თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში საინტერესო და შინაარსიან მოგონებად დარჩება, - გვითხრა დინამ.

„ყველაფერს მიაღწევ, როცა მონდომებული და შრომისმოყვარე ხარ“

მე-6 გვერდიდან

ფილმიც არის გადაღებული კლაუდია კარდინალესა და მარჩელო მასტროიანის მონაწილეობით. წიგნი სხვადასხვა თემას მოიცავს: ფსიქოლოგიურს, რელიგიურს, პოლიტიკურს... ყველას ვურჩევ მის წაკითხვას. წიგნის თარგმანი დააფინანსა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და, ასევე, დაჩა მარაინის მოთხრობათა კრებული - „ჩემი ქმარი“, ხოლო ალექსანდრე ჰმინეს რომანი „გასაღები რძეში“ შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. აქვე ვიტყვი, რომ არც ერთი ეს მწერალი საქართველოში ცნობილი არ იყო. მათი შემოქმედება პირველად მე შემოვიტანე.

— როგორც პედაგოგი, როგორ აფასებთ ახალ წიგნს „მონტესორის პედაგოგიკა და ახალი ტექნოლოგიები“?

- ძალიან კარგი წიგნია, მნიშვნელოვანი მომავალი „ციფრული თაობისთვის“. მისი წარდგენა მალე გაიმართება ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკასა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წიგნში საუბარია მონტესორის პედაგოგიკის მიხედვით, როგორი მიმართულება შეიძლება მივცეთ ახალ ტექნოლოგიებს, ხაზგასმულია მათი სწორად გამოყენების მნიშვნელობა. მისი გამოცემა დააფინანსა ევროპის სამეცნიერო პუბლიკაციების სამდივნომ, იგი ყურადსაღები იქნება პედაგოგიური ფაკულტეტებისთვის, საერთოდ, პედაგოგებისთვის. მიხარია, რომ წილად მხვდა ისეთი წიგნის თარგმნა, რომელიც დააფიქრებს და გააერთიანებს პედაგოგებს (თუ, რა თქმა უნდა, განათლების სისტემა ამას მოინდომებს).

— შარშან შუახევში დაფუძნებული საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილე იყავით. ეს ფესტივალი და აჭარაში მცხოვრები ადამიანები რა ადგილს დაიჭერენ თქვენს შემოქმედებაში?

— ამ ფესტივალმა დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა. უამრავი კარგი ადამიანი გავიცანი, დავმეგობრდი და მთიანი აჭარის ენით აუწერელი ბუნებითაც მოვიხიბლე. რომ არა ეს ფესტივალი, ამ შესანიშნავ ადგილებს ვერ ვნახავდი. ქედს ვიხრი მისი ორგანიზატორის, ბატონ ვახტანგ ბერიძის წინაშე — იშვიათი ადამიანია, პატრიოტი, თავის კუთხეში ლიტერატურისა და, საერთოდ, განათლების განვითარებისთვის ასე რომ იბრძვის. გავეცანი ბატონ ტარიელ ფუტკარაძის ოჯახს, დავათვალიერე მისი სახლ-მუზეუმი. მოკლედ, მოხიბლული ვარ და მადლობა მინდა გადავუხადო მთიან აჭარას შესანიშნავი სტუმართმოყვარეობისთვის.

— საბავშვო ჟურნალებში დაბეჭდილი ზღაპრები და მოთხრობები თქვენი ილუსტრირებულია. როდის დაიწყეთ ეს საქმიანობა?

— სიმართლე გითხრათ, წერა და ილუსტრირება ჩემი პედაგოგიური საქმიანობიდან გამომდინარე, სულ მიწევდა და მიყვარდა, მაგრამ ახლა სხვა სახე და მიმართულება მიეცა ამ ყველაფერს. მაშინ სკოლაში ვმუშაობდი, ახლა ჟურნალ-გაზეთებთან ვთანამშრომლობ.

— პიროვნებები, რომლებმაც თქვენი შემოქმედების გზაზე ღირსეული კვალი დატოვეს...

— ასეთი არაერთია: ოჯახის წევრებიდან დაწყებული, პედაგოგებითა და კოლეგებით დამთავრებული.

— საყვარელი ფრაზა ან გამოთქმა.

— საყვარელზე მეტად, გასათვალისწინებელი ფრაზა: „არასოდეს თქვა არასოდეს“.

— სხვის საქმეში თუ ერევით?

— თუ ეს ჩარევა სიკეთეს მოუტანს ადამიანს, რატომაც არა? კიდევაც ჩავრეულვარ და... არც ჩავრეულვარ, შემთხვევის მიხედვით...

— ჭორებს თუ უსმენთ?

— ჭორსა და ბოროტ ადამიანებს არ ვუსმენ, ყურადღების გარეშე ვტოვებ. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, მათთვის არ მცალია, არც არასოდეს მეცალა. შრომით დაკავებული მივუყვებოდი ყოველთვის ჩემს გზას.

— ტყუილი თუ გითქვამთ?

— ტყუილის თქმა საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ დგება მომენტი, როცა რაღაც უნდა მოიტყუო, ვინმეს გული რომ არ ატკინო. კეთილ ტყუილს ვეძახი ამას. არიან ადამიანები, რომლებიც ტყუილებით ცხოვრობენ, მე მათთან ურთიერთობაც არ შემიძლია, კავშირს ვწყვეტ.

— რამდენჯერ ნახეთ სიცილიაზე ვულკანის ამოფრქვევა?

— არაერთხელ. სიცილიაზე გვაქვს ევროპის ყველაზე მაღალი აქტიური ვულკანი ეტნა, რომელმაც ჩემი დიდი ინტერესი გამოიწვია და წიგნიც კი დავწერე ყმაწვილებისთვის. ესაა შემეცნებითი ხასიათის ნაწარმოები, რომელიც მალე გამოვა. სხვათა შორის, საქართველოში ჩამოვიტანე ვულკანის ქვები, რომელიც თვალსაჩინოებისთვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს, შუახევის სახელოვნებო სკოლას, საჯარო სკოლებსა და კერძო პირებს გადავეცი.

— კრატერში თუ ჩასულხართ და... შიში უფრო მოგძალებიათ თუ ცნობისმოყვარეობა?

— ბევრჯერ, და არავითარი შიში არ მქონია. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ისე მინდოდა ყველაფერი ჩემი თვალით მენახა და შევხებოდი. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ჩავედი ჩამქრალ კრატერში, კიდევ ჩავიდოდი, კიდევ ამოვიტანდი გაციებულ ლავასა და წამოვიღებდი ჩემს ქვეყანაში. ძალიან შთამბეჭდავი და საინტერესოა, იშვიათი განცდაა.

— რა აქვთ საერთო იტალიელებსა და იმერელ ქართველებს?

— ბევრი რამ. ხასიათითა და გარეგნობით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ზოგჯერ მერევა კიდეც — ის კაცი საქართველოში მყავს ნანახი თუ იტალიაში-მეთქი? ქცევებითაც დიდი მსგავსებაა. საერთოდ, ადამიანური თვისებები ყველაგან ერთნაირია, მით უმეტეს, იტალიელებსა და ქართველებს შორის.

— შვილების არჩევანში რამდენად ერევით?

— შვილები თვითონ აირჩევენ, როცა დრო დადგება და თავად იქნებიან პასუხიმგებელნი. მე ისინი გავზარდე, აღვზარდე, რაც შემეძლო, გავაკეთე, დანარჩენი მათზეა დამოკიდებული. მე ჩემსას ვეტყვი, რა თქმა უნდა, ვურჩევ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ისინი მიიღებენ.

— ჩვენი ინტერვიუ გაზაფხულის დღესასწაულების წინ შედგა. როგორია მაიკო ტურაბელიძის, როგორც დედის როლი ცხოვრებაში?

— დედის როლი, ისევე როგორც მეუღლისა და შვილის, ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი შესასრულებელია. არასოდეს ამირიდებია თავი მისთვის, არ მიღალატია, პირიქით, ჩემი პირადი ცხოვრება გვერდზე გადამიდვია და მთელი დრო და ენერგია დამითმია ოჯახისთვის.